# სარბიელი

სპორტული გაზეთი ხუთშაბათი 18 ივლისი 2002 №132 (1654) ფასი 50 თეთრი


UEFA CHAMPIONS LEAGUE

# კარგი, ცუდი და სპარტა

კარგი ამბავი: ქუთაისის „ტორპედომ" ტორსჰაგენელი მოყვარულები დიდი ანგარიშით დაამარცხა, რითაც, ფაქტობრივად, გაინაღდა ჩემპიონთა ლიგის მეორე საკვალიფიკაციო ეტაპზე გასვლა. თუმცა ფარერული ბარიერის დაძლევა მეტ-ნაკლებად თავმოყვარე გუნდს არც უნდა გაუჭირდეს.

ცუდი ამბავი: B 36-მა „ტორპედოს" ორი გოლი გაუტანა და სტუმართა გუნდის მწვრთნელს ათქმევინა, ჩვენი გუნდი რომ ორ ბურთს გაგიტანთ, წარმომიდგენია, „სპარტასთან" რა დღეში ჩავარდებითო. მოგეხსენებათ, ამ წყვილში გამარჯვებულს მეორე საკვალიფიკაციო ეტაპზე პრაღის „სპარტა" ელის — ჩემპიონთა ლიგის ლამის მუდმივი მონაწილე და გოლის გამტანი გუნდი.

შესაძლოა, კარგი ამბავი: ტორპედოელთა უკრაინელმა თავკაცმა ალექსანდრ შტელინმა დაგვაიმედა, მატჩს „სპარტას" წარმომადგენლები ესწრებოდნენ და ჩვენმა ფეხბურთელებმა შესაძლებლობები სრულად არ წარმოაჩინესო.

შესაძლოა, ცუდი ამბავი: პრაღელმა მზვერავმა „ტორპედოს" თამაშში სუსტი ადგილები დაინახა.

სხვა მხრივ კი გიხაროდენ: ლიგის პირველი საკვალიფიკაციო ეტაპის პირველ წრეში ყველაზე მეტი გოლი ქართველებმა გაიტანეს: ტორპედოელებისას თითო სკონტოელმა ლევან კორლალიძემ და შერიფელმა ვაჟა თარხნიშვილმა დაამატეს. უფრო გამოსარჩევი კი თარხნიშვილის გოლია, რაკი, ერთი რომ, გამარჯვებისა გამოდგა, მეორეც, უეფაში ახალგაწევრიანებულ ყაზახებს პირველი, ისტორიული სალიგო ქულა დააკარგვინა.



გალხაზ ასათიანი და მისი „ტორპედო" ფარერელებს ალბათ გასცდებიან, მერე კი „სპარტა" და „ლაციოდან" პრაღაში დაბრუნებული კარელ პობორსკია

ისე კი, ლიგის პირველი საკვალიფიკაციო ეტაპი ისეთი რამაა, გამოსარჩევი ბევრიც არაფერია.

ერთი სიტყვით, ევროსეზონი დაიწყო და რამდენიმე კვირაში „დინამოსაც" და „ლოკომოტივსაც" უეფას თასზე პირველი მატჩები ელით „ტალინთან" და „კოპენჰაგენთან".

ახალი სეზონისთვის სამზადისი იყო გერმანიაში მყოფი „დინამოს" მატჩი ჩვენებურთა „ფრაიბურგთან", რომელიც თბილისელებმა დარასელიას გოლით მოიგეს.



მთავარი კი, ალბათ, მაინც ფრაიბურგელთა თავკაცის ფოლკერ ფინკეს შეფასებაა, ჩემთვის „დინამოს" თამაში სასიამოვნო სიურპრიზი იყო, ერთ წელიწადში როგორ მოუმატებიაო.

მატჩს დაესწრო საქართველოს ნაკრების მწვრთნელი ალექსანდრე ჩივაძე, ვისაც ფეხბურთელებისთვის უთქვამს, მუშაკს თუ მიჰყვებით, ყველაფერი კარგად იქნებაო.

ჩვენც ეს არ გვინდა?!

იხილეთ მეორე გვერდი



ალექსანდრე ჩივაძე გერმანიაში „დინამოს" ნაკრებს დაპირდა

# ჩემპიონთა ლიგა

პირველი საკვალიფიკაციო ეტაპი. პირველი მატჩი

## ტორპედო 5:2 B36 ტორსჰავენი

ქუთაისი. „ტორპედო". 5 000 (ტევადობა 19 500). 17 ივლისი. 20.00 საათი

1:0 ასათიანი (16), 2:0 იოსებიძე (34), 3:0 ასათიანი (47), 4:0 ელიავა (66), 4:1 კვეტენაძე (68), 5:1 პოროშინი (74), 5:2 მორტენსენი (76)

ტორპედო: სტურუა, ლ. ძეძაძე, ქემოკლიძე, ბერიანი, მახარაძე, გუჩუა (გამეზარდაშვილი 46), კვეტენაძე, ბაბუნაშვილი (ჯანაშია 65), ასათიანი, იოსებიძე, ზ. ქუთათელაძე (პოროშინი 53)
მწვრთნელი: ალექსანდრ შტელინი

B36 ტორსჰავენი: ტორგარდი, ზახარიასენი, კლემენტსენი (ი. სკორინი 89), ენბორგი, დანიელსენი, ფლორევსკუ, პეტერსენი, იოხსონი, მატრასი (იაკობსენი 69), ელიავა (მოუღლსენი 87), მორტენსენი
მწვრთნელი: პიოტრ კრაკოვსკი

გაფრთხილება: გუჩუა (39), კლემენტსენი (87)

მსაჯები: კერი რიჩარდსი; ედვარდ კინგი, ფილიპ ბეიტსი; საიმონ ჯონსი (ყველა უელსი)

უეფა-ს დელეგატი: დრონ ტოტკომბი (ინგლისი)

მსაჯების ინსპექტორი: ოგიუზ სარვანი (თურქეთი)

ჯარიმა: 10-14; კუთხური: 8-2; კარისკენ დარტყმა: 8-4; კარში დარტყმა: 9-6; თამაშგარე: 2-3

## ნათქვამია

*პიოტრ კრაკოვსკი, B36-ის მწვრთნელი*

— 2:5 წავაგეთ და შედეგით, ცხადია, უკმაყოფილო ვარ. „ტორპედოს" შესახებ, ფაქტობრივად, არაფერი ვიცოდით, მისი „კოპენჰაგენთან" შარშანდელი თამაშების ვიდეოფირების მოპოვება გვსურდა, მაგრამ ვერ მოვახერხეთ.

„ტორპედო" კარგი გუნდი ყოფილა. ჩვენგან განსხვავებით ტექნიკურ ფეხბურთს თამაშობს, პროფესიონალი მოთამაშეები ჰყავს. ჩვენები კი მოყვარულები არიან, მთელი დღე მუშაობენ და საღამოს მოდიან სავარჯიშოდ, ისიც კვირაში ოთხჯერ.

მეტოქე გუნდიდან მე-20 ნომერს (ასათიანი) გამოვარჩევ, ძლიერი ფეხბურთელია. ახალგაზრდა ნახევარმცველი, მე-8 ნომერი (ბაბუნაშვილი) მომეწონა.

„ტორპედომ" დაცვაში მოისუსტა. ჩვენი გუნდი რომ ორ ბურთს გაუტანს, წარმოდგენილი მაქვს, „სპარტასთან" რა დღეში იქნება.

საპასუხო მატჩში უკეთესი შედეგისთვის ვიბრძოლებთ. ვიმედოვნებ, ამ დროისთვის ტრავმებს მოიშუშებენ წამყვანი მოთამაშეები კრისტიან ჰანსენი და რუმინელი ლეგიონერი დან სანდო. ტორსჰავენში საკუთარი კედლების გარდა იქაური ამინდიც დაგვეხმარება. ფარერებზე წელიწადში 360 დღე წვიმს, თანაც საშინელი გრიგალი იცის.

*ალექსანდრ შტელინი, „ტორპედოს" მწვრთნელი*

— საერთო ჯამში „ტორპედოს" ცუდად არ უთამაშია, მაგრამ, იცით, მატჩს პრაღის „სპარტას" წარმომადგენლები ესწრებოდნენ და ჩვენმა ფეხბურთელებმა შესაძლებლობები სრულად არ გამოავლინეს. არადა, უფრო სერიოზულად უნდა გვეთამაშა, საკუთარი მაყურებლის წინაშე მეტი მონდომებით უნდა გაისარჯო. მეორე ტაიმში გუნდს ფსიქოლოგიურ მუხტს ველარ ვამჩნევდი. „ტორპედო" კი არ დაიღალა, თამაშის სურვილი დაკარგა.

ახალგაზრდებს ძირითადში კვლავაც ვათამაშებ, სხვაგვარად ისინი ვერ დაოსტატდებიან. დაცვაში ბევრჯერ შევცდით. ფარერელებთან საპასუხო შეხვედრაში ერთ ცვლილებას მოვახდენ. „სპარტასთან" კი, ცხადია, ძირეულად მოგვიწევს თამაშის ხასიათის შეცვლა.

გივი დიდავაზე ხშირად მეკითხებით, მისი „ტორპედოში" დატოვებაზე კლუბის ხელმძღვანელობა ინტენსიურად მუშაობს და 99-პროცენტით ვარ დარწმუნებული, ეს ფეხბურთელი ჩვენი გახდება.

უკრაინული „არსენალიდან" შავკანიანი მცველის „ტორპედოში" გადმოყვანაზე ყურადღების გამახვილება ამ ეტაპზე არ არის საჭირო. ამგვარი მოლაპარაკებები სხვა კლუბებთანაც შეიძლება გვქონდეს. სჯობს შედეგებს დაველოდოთ.

*პრაღის „სპარტას" მთავარი მწვრთნელის ასისტენტი ზდენეკ პროპაზკა:*

— ორი აზრი არ არის, „ტორპედო" მეტოქეს გაცილებით სჯობდა. თქვენ რამდენიმე კარგი ფეხბურთელი გყავთ, ამათგან კი, ვფიქრობ, საუკეთესო ასათიანია. დიდი შესაძლებლობების ფეხბურთელია. მე ის ძალიან მაგონებს მოსკოვის სპარტაკელ ტიტოვს. გამოვარჩევდი გუჩუასაც. ვერ მივხვდი მწვრთნელმა რატომ შეცვალა.

ცხადია, „ტორპედოში" სუსტი ადგილებიც დავინახე, მაგრამ ამას ვერ მოგახსენებთ. ფარერებზეც დავზვერავთ თქვენს გუნდს, ოღონდ იქ თამაშს ჩვენი კლუბის სხვა წარმომადგენლები დაესწრებიან.

**იუზა ძაძიტაძე** *ქუთაისიდან*

# ჩემპიონთა ლიგა

პირველი საკვალიფიკაციო ეტაპი. პირველი მატჩები

სკონტო (ლატვია) 5:0 ბარი თაუნი (უელსი)
1:0 კოლესნიჩენკო (13), 2:0 ზემლინსკისი (62), 3:0 კორმაშოვი (66), 4:0 კაპაცინსკისი (87), 5:0 იელისეევსი (90)
ტამპერე (ფინეთი) 0:4 პიუნიკი (სომხეთი)
0:1 არმან კარამიანი (32), 0:2 ართავაზ კარამიანი (48), 0:3 არმან კარამიანი (67), 0:4 მკრტჩიანი (72)
კაუნასი (ლიტვა) 2:3 დინამო (ალბანეთი)
1:0, 2:0 ველიჩკა (38, 42), 2:1 აბაზაჯი (55), 2:2 ბიზა (56), 2:3 კორი (76)
ჰიბერნიანსი (მალტა) 2:2 შელბურნი (ირლანდია)
1:0 მუსკუნიერი (6), 1:1 ბირნი (7), 2:1 მულისი (35), 2:2 გენონი (67)
შერიფი (მოლდოვა) 2:1 ჟენისი (ყაზახეთი)
0:1 ლოჟკინი (7), 1:1 პრიგანიუკი (58), 2:1 თარხნიშვილი (86პ)
დუდელანჟი (ლუქსემბურგი) 1:1 ვარდარი (მაკედონია)
1:0 რემი (54), 1:1 იორდევსკი (69)
ჟელეზნიჩარი (ბოსნია) 3:0 აკრანესი (ისლანდია)
1:0 გუვო (5), 2:0 გრუდიჩი (38), 3:0 გუვო (56)
ფლორა (ესტონეთი) 0:0 აპოელი (კვიპროსი)
პორტადაუნი (ჩრდ. ირლანდია) 0:0 ბელშინა (ბელარუსი)




სკონტო — ბარი თაუნი 5:0. ლატვიელი მანტას სამუსევასი (მარცხნივ) და უელსელი იან ბიშოპი




ჟელეზნიჩარი — აკრანესი 3:0. რაინირ ლეოსონი ბევრს ეცადა, მაგრამ იურე გუვომ (მარჯვნივ) ორი გოლი მაინც გაიტანა

# შუშაკმა ფინკე გააოცა

## ჩივაძე დინამოს ნაკრებს დაპირდა

**გერმანიაში** მოსამზადებლად მყოფმა თბილისის „დინამომ" გუშინ მორიგი ამხანაგური მატჩი გამართა და მეორე ბუნდესლიგაში დაქვეითებული „ფრაიბურგი" 1:0 დაამარცხა. გოლი 46-ე წუთზე გათამაშებულ მრავალსვლიან, მოედნის საკუთარ ნახევარზე წამოწყებულ კომბინაციას მოჰყვა. ვაშაკიძე-გოგობერიშვილმა ბურთი ბობოხიძე-ბურდულამდე მიიტანეს, ამათი კედელი ჩაწოდებით გაგრძელდა, ბურთი საჯარიმოს ხაზთან დარასელიამ მიიღო, მეტოქე ჩამოიცილა და გოლცს მარჯვენა დაბალ კუთხეში გაუტანა — გვითხრა „დინამოს" პრეს-ატაშე ლევან სალუქვაძემ, რომელსაც წუხელ გერმანიაში დავუკავშირდით.

გუნდებმა ასეთი შემადგენლობით ითამაშეს:

*დინამო: ზოიძე (გვარამაძე 46); ვაშაკიძე, შაშიაშვილი, ამისულაშვილი; სახვაძე (კვირკველია 46), ბურდული, ანჩაბაძე (სამხარაძე 62), კარლოსი (კანდელაკი 62), გოგობერიშვილი; მიქაძე (ბობოხიძე 46), დარასელია (მაზიაშვილი 75)*

*ფრაიბურგი: გოლცი, ცაიერი, კონდე, ბაირამოვიჩი,* ***ციხიტიშვილი, კობიაშვილი,*** *ვილი, ტანკო, დიარა, ჰრენცი, ჰელცი.* შეცვლაზე ითამაშეს რუსმა ბუტმა და ახლახან გამოჯანმრთელებულმა გიორგი კიკნაძემ. სხვათა შორის, ნამატჩევს ფინკეს უთქვამს, კიკნაძის თამაში ჯერ არც შეიძლება, მაგრამ ისე სურდა ყოფილ თანაგუნდელებთან დაპირისპირება, უარი ველარ ვუთხარიო.

მატჩი, რომელსაც საქართველოს ნაკრების მწვრთნელი ალექსანდრე ჩივაძე დაესწრო, ფრაიბურგელთა უპირატესობით მიმდინარეობდა, თუმც „დინამოს" კარს ისინი რეალურად სულ ერთხელ დამუქრებიან, როცა კუთხურიდან მოწოდებული ბურთი კარში ხუთიოდ მეტრიდან ჰელცმა დაარტყა და გვარამაძემ იყოჩაღა. დინამოელებს კი კონტრშეტევებზე გოლის გარდა ორჯერაც შეეძლოთ მეტოქის გამოჭერა, ნაღდი მომენტები ჯერ მიქაძეს, შემდეგ ბობოხიძეს გასცუდებიათ.

ნამატჩევს **„ფრაიბურგის" მწვრთნელ ფოლკერ ფინკეს** ესეც უთქვამს:

— ჩემთვის სასიამოვნო სიურპრიზი იყო „დინამოს" დღევანდელი თამაში. ეს გუნდი ერთი წლის წინ ვნახე და საოცარია, ამ ხნის განმავლობაში როგორ მოუმატა. ძალიან მომეწონა ქართული გუნდი.

დინამოელთა თამაშით კმაყოფილი დარჩენილა ჩივაძეც. მას მატჩამდე ფეხბურთელებთანაც საკმაო ხანს უსაუბრია — დაძაბული სეზონი გელით. შუშაკს თუ მიჰყვებით, ყველაფერი კარგად იქნება, ბევრსაც ნაკრებში მიგიწვევთო. ეროვნული გუნდის თავკაცს ლევან კობიაშვილიც დაუმშვიდებია, ფსიქოლოგიურად არ გატყდე „ბაიერნსა" და „კაიზერსლაუტერნში" ტრანსფერი რომ ჩაგეშალა, ნაკრებისთვის საჭირო ფეხბურთელი ხარო.

ჩივაძე ფინკესაც ესაუბრა და გერმანელის შეთავაზებაზე, შვეიცარიასთან მატჩისწინ ნაკრები ფრაიბურგში ჩამოიყვანეთ და ჩვენთან მოამზადეთო, ქართველს თავაზიანი უარი იმ მოტივით უთქვამს, სასტუმროში ცხოვრებას სჯობს გუნდი ბაზაზე განმარტოვდესო. როუტში, სადაც ეროვნული გუნდის შეკრებაა დაგეგმილი, ჩივაძე შეგირდებს სწორედ იქაურ ბაზაზე მოამზადებს.

„დინამო" კი გერმანიიდან 22 ივლისს დაბრუნდება.

**ძოზა ინასარიძე**



იგო შუშაკი

## შვეიცარია

A ჯგუფი. III ტური

აარაუ 2:3 გრასჰოპერი
0:1 პეტრიჩი (26), 1:1 დე ნაპოლი (34), 1:2 ბატურინა (57), 1:3 პეტრიჩი (59), 2:3 მელუნოვიჩი (62)
ქსამაქსი 0:1 თუნი
0:1 რენფერი (64)
ბაზელი 1:1 ვილი
1:0 ლეანდრო (33), 1:1 ნადლერი (74)
სიონი ბალენი 5:0 ლუცერნი
1:0, 2:0, 3:0 განე (13, 23, 54), 4:0 კოლაჩინო (84), 5:0 ნიქსონი (86)
იანგ ბოისი 1:1 ბაზელი
1:0 შაპუიზა (47), 1:1 ჩიპერფილდი (90)

B ჯგუფი. III ტური

ბელინცონა 1:2 შაფჰაუზენი
კონკორდია 2:4 ლოზანა
სიონი 3:0 ბადენი
ვოლენი 0:0 ვადუცი
კრიენსი — ლუგანო გადაიდო

## ავსტრია

მაქსბუნდესლიგა. II ტური

ზალცბურგი 1:2 შტურმი
გრაცერი 0:2 პაშინგი
რაპიდი 1:2 ადმირა ვაკერი
რიდი 1:1 ბრეგენცი

## შვედეთი

X ტური

ჰელსინგბორგი 2:1 გიოტებორგი

## უკრაინა

III ტური

მეტალისტი — კრივბასი 2:1; მეტალურგი (დონეცკი) — კარპატი 1:1; ტავრია — დინამო 1:2; არსენალი — ვოლინი 8:1; მეტალურგი (ზაპოროჟიე) — შახტარი 0:1; ჩორნომორეცი — ობოლონი 0:2; დნიპრო — ვორსკლა 1:0; მეტალურგი (მარიუპოლი) — პოლიგრაფტექნიკა 1:1



# რეხვიაშვილი ინგლისურ სოფელში ქალაქებს არჩევს

*როგორც უკვე ვწერდით, ლატვიური „სკონტოს" კაპიტანი ალექსანდრე რეხვიაშვილი რიგიდან გუშინწინ აიბარგა და ახალი კლუბის საძებრად ინგლისს მიაშურა. ითქვა, რომ ქართველი ნახევარმცველით ბირმინგემის „ასტონ ვილაა" დაინტერესებული და შესაძლოა, ალეკომ ამ კლუბთან კონტრაქტი ჩასვლისთანავე გააფორმოსო. ეს ამბავი ალექსანდრე რეხვიაშვილმა, რომელსაც წუხელ ინგლისში შევეხმიანეთ, ნაწილობრივ დაადასტურა და ესეც დაამატა:*

— ამჟამად ერთ-ერთ კლუბთან ერთად ვვარჯიშობ და ტესტმატჩებისთვის ვემზადები. დღეს, ხვალ და ზეგ ვითამაშებ და ვფიქრობ, სწორედ ამ უქმეებზე უნდა გადაწყდეს, სად დავრჩები.

**— რომელ კლუბში ვარჯიშობ?**

— არ დაგიკონკრეტებთ, ორიოდ დღეში ყველაფერს შეიტყობთ. თანაც აგენტებმა მთხოვეს, ჟურნალისტებთან ურთიერთობას მოერიდეო.

**— ვიცით, „ასტონ ვილაა" შენით დაინტერესებული, კიდევ გაქვს რომელიმე კლუბიდან წინადადება?**

— მოდით, ჯერჯერობით ესეც საიდუმლოდ დარჩეს. კონტრაქტს გავაფორმებ და ყველაფერი თავისთავად გაცხადდება.

**— ლატვიაში დაბრუნებამ რომ მოგიწიოს?**

— არა, ეს გამორიცხულია. ინგლისში ვითამაშებ! საკითხავი მხოლოდ ისაა, რომელი კლუბი შემომთავაზებს უკეთეს პირობებს.

**— შეგიძლია თქვა, რომ ინგლისის პრემიერლიგის გუნდში ითამაშებ?**

— ამას ნამდვილად ვერ ვიტყვი. პრემიერლიგაშიც მიწვევენ და პირველ დივიზიონშიც. ვნახოთ, არ მსურს, დაუფიქრებელი ნაბიჯი გადავდგა და ისეთი გუნდის წინადადებას დავთანხმდე, მერე მთელი სეზონი სათადარიგო ფეხბურთელად ჩამთვალონ. გარანტია მინდა იმისა, რომ მუდმივად ძირითად შემადგენლობაში ვითამაშებ.

**— კი მაგრამ, ასეთ გარანტიებს არ იძლევიან-ხოლმე.**

— რატომ? პირველი დივიზიონიდან ისეთი კლუბები მიწვევენ, სადაც ძირითადში ადგილი დაჯავშნული მექნება. გუნდების მწვრთნელების ნათქვამს გეუბნებით.

**— პრემიერლიგის გუნდებში გაგიჭირდება ძირითადში დამკვიდრება?**

— გუნდს გააჩნია. ინგლისში ტურისტად არ ჩამოვსულვარ, ჩამოვედი, რომ ვითამაშო. სათადარიგოობას ვერ შევეგუები. ამიტომაც ვამბობ, აჩქარება არ მარგებს-მეთქი.

წუხელვე ჩვენი ლატვიელი კოლეგებისგან შევიტყვეთ, რომ ალექსანდრე რეხვიაშვილი ლატვიის ნაკრების ყოფილი მწვრთნელის გარი ჯონსის გუნდ „იოვილში" ვარჯიშობს. თუმც ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ რეხვიაშვილი ამ სოფლის გუნდში დარჩება.

**ძობა ინასარიძე**

# გორმა გორში გაიარა
## დავითნიძემ დილა ნახა

**უმაღლეს ლიგაში** რიხით დაბრუნებულმა გორის „დილამ" საწვრთნელი შეკრება დაასრულა და ახლა შინ აგრძელებს ახალი სეზონისთვის მზადებას. გორელებმა შეკრებაზე ქალაქგარეთ წასვლა ვერ მოახერხეს, თუმც ასედაც კმაყოფილები დარჩნენ.

ახლა ვლადიმერ ხაჩიძე ფიზიკურად მომძლავრებულ ფეხბურთელებს კვლავ მშობლიურ ქალაქში შედარებით მსუბუქად ავარჯიშებს. საწვრთნელი შეკრების მერე დაგეგმილ ორდღიან შესვენებამდე კი „დილამ" ერთი ამხანაგური მატჩის ჩატარებაც მოასწრო — თბილისში „მერანს" ეწვია და „სინათლეზე" 1:1 გაუგორა. სტუმართაგან თავი ახალწვეულმა ბაკარაძემ გამოიჩინა. აქვე შეგახსენებთ, რომ მანამდე „დილა" „ლოკომოტივს" ფრედ, 1:1 ეთამაშა, ხოლო პირველლიგელი „ცხინვალი" 2:1 დაამარცხა.

კლუბის ხელმძღვანელებს კიდევ რამდენიმე ამხანაგური მატჩი აქვთ დაგეგმილი, თუმც სპარინგ-პარტნიორები ჯერ ვერ შეურჩევიათ. სავარაუდოდ, „დილა" უახლოეს დღეებში რეგიონალლიგის რომელიმე გუნდს გაეჯიბრება.

სიახლეა ისიც, რომ დღე-დღეზე გორელებს კიდევ ერთი ახალწვეული დაემატებათ. წინა სეზონში თბილისის „ლოკომოტივში" მოთამაშე გიორგი დავითნიძის „დილაში" გადასვლა თითქმის გადაწყვეტილი ყოფილა. ასე რომ, ქართლელები სულაც არ ფიქრობენ მეთოთხმეტე ეროვნულ ჩემპიონატში მაჩანჩალათა შორის ყოფნას და შესაძლოა, საამისოდ კიდევ რამდენიმე ფეხბურთელითაც გაძლიერდნენ.



გიორგი დავითნიძე

ბადრი ტოლიაშვილის ფოტო

**კახა შალამბერიძე**

# სიონს სენი შეეყარა



„სიონის" ლაზარეთში ზვიად კრავეიშვილიცაა (მარცხნივ)

[illegible] ფოტო

**ლაგოდეხში** საწვრთნელ შეკრებაზე მყოფმა ბოლნისის „სიონმა" გუშინ პირველი ამხანაგური მატჩი გამართა. ბოლნისელთა მეტოქე უმაღლეს ლიგაში წლეულს აღზევებული წნორის „მილანი" გახლდათ, რომელიც ასევე ლაგოდეხში ემზადება მეთოთხმეტე ეროვნული ჩემპიონატისთვის.

უმაღლეს ლიგაში ჭიპმოჭრილისა და ახალბედას დაპირისპირება უგოლოდ, 0:0 დასრულდა. მწვრთნელებმა ბევრ მოთამაშეს მისცეს თავის გამოჩენის შანსი. მატჩიც, ცხადია, უფრო მოსამზადებელი ხასიათის გამოდგა. თუმც „სიონს" მიზეზთა გამო რამდენიმე ფეხბურთელი ვერ დაეხმარა. კახა სიდამონიძე ზურგს იტკიებს, ზვიად კრავეიშვილს და დავით ხუჭუას ფეხი აწუხებთ, ხოლო დავით კარიაულს სურდო შეჰყრია.

დანარჩენები კი ჩვეულად ვარჯიშობენ. თემურ მახარაძე შეგირდებს დღეში სამჯერ, დილით, შუადღით და საღამოს ავარჯიშებს.

„სიონი" ლაგოდეხში კიდევ რამდენიმე დღით გაჩერდება და მერე ბოლნისში გააგრძელებს წვრთნას, სადაც ამხანაგურ მატჩებსაც არ დაიკლებს.

**კახა შალამბერიძე**

## ჩვენი მეტოქეები

# ახალმოსახლეობა
## რუსეთი ევროპას ჩერკიზოვოში დაუხვდება

**რუსეთი**

**ათიოდე დღეა,** რუსებმა საზეიმოდ რომ გახსნეს ჩერკიზოვოში „ლოკომოტივის" სტადიონი. 30-ათასიანი არენა ფრიად შთამბეჭდავი გამოდგა და რუსეთის საფეხბურთო კავშირის გადაწყვეტილებით, ეროვნული ნაკრები ევროპის 2004-წლის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპის წლევანდელ მატჩებს ჩერკიზოვოში გამართავს.

„ახალი სტადიონი სავსებით აკმაყოფილებს საერთაშორისო სტანდარტებს და მზადაა, რუსეთის ეროვნული ნაკრების საშინაო მატჩებს უმასპინძლოს. ჩვენი გადაწყვეტილებით ჩერკიზოვოს სარბიელზე შესარჩევი ეტაპის მხოლოდ ორი მატჩი დავგეგმეთ. არ არის გამორიცხული, ნაკრებმა მომავალ წელსაც „ლოკომოტივზე" ითამაშოს" — თქვა გუშინ რუსეთის საფეხბურთო კავშირის აღმასრულებელმა დირექტორმა ალექსანდრ ტუკმანოვმა.

ამრიგად, ჩვენი მომავალი მეტოქე ახალ სარბიელზე პირველ ოფიციალურ მატჩს ირლანდიასთან გამართავს 7 სექტემბერს, მერე კი ალბანეთსაც იქვე დაუხვდება, თუმც არ არის გამორიცხული, რუსთა ნაკრებმა მანამდეც გათელოს ჩერკიზოვული მწვანე — შესაძლოა, 21 აგვისტოს, რუსეთ — შვედეთის ამხანაგური მატჩიც „ლოკომოტივზე" ჩატარდეს.

რუსეთის საფეხბურთო კავშირმა დროებით უარი თქვა ფინანსურად გაცილებით მომგებიან ვარიანტზე — 90-ათასიან „ლუჟნიკზე", მაგრამ ამაში ახალაშენებული „ლოკომოტივის" სიკოხტავე არაფერ შუაშია. მიზეზი ერთია — „ლუჟნიკზე" ბალახის საფარი ხელოვნური, სინთეტიკური მოლით შეიცვალა, უეფა-უეფას კი ამ ჯურის გაზონები საერთაშორისო სტანდარტებისთვის ჯერაც არ დაუქვემდებარებია. მოკლედ, სანამ „ზემოდან" მწვანეს არ აანთებენ, რუსეთი ჩერკიზოვოში გაჩერდება და შესაძლოა, შესარჩევი ეტაპის ბოლო მატჩის თამაში ქართველებთან იქვე მოუწიოს.

**ბაატა ძგანტალიანი**





საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ყრილობამდე ბევრიც აღარაფერი დარჩა და ფედერაციის პრეზიდენტობის მოსურნე კანდიდატთა წინასაარჩევნო კამპანიაც ძალას იკრებს. ქართული ფეხბურთის თავკაცობისთვის სამნი, ამჟამინდელი პრეზიდენტი მერაბ ჟორდანია, ერთ დროს მისი თანაგუნდელი დავით პეტრიაშვილი და „მრეტების" დამფუძნებელ-პრეზიდენტი ვაჟა ჩხაიძე იბრძვიან. ჟორდანია-პეტრიაშვილის დაპირისპირებამ სასამართლოს კარამდეც უწია და რით დასრულდება ამათი დუელი, ძნელი სათქმელია. მესამე ძალა, ვაჟა ჩხაიძე კი საარჩევნო მარათონში, როგორც თავად ამბობს, ლვინოსოფიური სალმით ერთვება და საკუთარ გამარჯვებაში ეჭვიც არ ეპარება.

ქვემოთ ვაჟა ჩხაიძის საარჩევნო შტაბის ვიცე-თავმჯდომარის ირაკლი ქავთარაძის სიტყვას გაგაცნობთ და აქვე შევნიშნავთ, რომ „სარბიელი" პრეზიდენტობის სამივე კანდიდატის წინასაარჩევნო კამპანიისას მიუკერძოებელ ცნობებს მოგაწვდით.

# ჩემი დროც დგება


ვაჟა ჩხაიძე

## სფფ-ის პრეზიდენტობის კანდიდატის, ვაჟა ჩხაიძის საარჩევნო შტაბის ვიცე-თავმჯდომარის, ირაკლი ქავთარაძის სიტყვა (ლიტერატურული ჩანაწერი ბუბა ხოტივარისა)

„შუა ქეიფში ვართ და გარედან ყვირილი ისმის.
- ვაჟა ჩხაიძე, გადმოიხედე–
მიშა მესხის ხმაა.
ბიჭები ეპატიჟებიან.
არაფრით შემოდის, მე მეძახის.
გავედი, კარები მივიხურე და გემბანიდან გადავხედე.
— რაო, შენი დასაწუნი რა სჭირს ვითომ მრეტების სუფრას?
— კარები გაალე, გეხვეწები, კარებს ნუ კეტავ, სათქმელი მაქვს!
— ხალხში თქმა თუ გინდოდა, სუფრასთან იტყოდი.
— არა, გაალე, ყველამ გაიგონოს!
ვილაც კარებს აღებს.
მიშა მთელი ხმით ყვირის.
— ვაჟა ჩხაიძე, ჩემი თბილისის დინამოში თამაშის... ჩემი მოსკოვის სპარტაკში თამაშის... ჩემი ოქროს მედლების... ხომ დამაჯერე, თურმე შეიძლება ასე თამაში!
— იცოცხლე, მიშა მესხო, ას წელიწადს, მრეტის სულს ვინ ჩაკლავს საქართველოში!
— ჭკუაზე არ არიან, გესმის?! — ეს აკაა, ჩამომიქროლა და გემბანიდან სადღაც ჩაყვინთა.
ასე სჯობს, ჩემო აკა.
შენი დრო ჯერ არ დამდგარა".

ვაჟა ჩხაიძე, „მრეტები"

ვაჟა ჩხაიძე თავის წიგნში, „მრეტები" პირველად მე-13 გვერდზე მახსენებს.

მამაჩემი, გურამი, 13-ში დაიბადა და 13-ში... არ მინდა გახსენება.

გურამს არ უყვარდა 13 რიცხვი, სულ მუბნებოდა, 13 თარსია, სახლიდან ნუ გახვალო.

ისე მოეწყო, განგების ძალით, დღეს გამოვდივარ სახლიდან.

დღეს 13 ივლისია!

ერთიცაა, გურამი „დინამო" იყო, მე „მრეტები" ვარ.

ახალ გამარჯვებებს ვუსურვებ ქართულ ფეხბურთს.

ვაჟა ჩხაიძეს 1985 წლიდან ვიცნობ, როგორც „მრეტების" დამფუძნებელს, პრეზიდენტს, მთავარ მწვრთნელს.

მე თავად ყველა გზა გავიარე „მრეტებში": ფეხბურთელი, მენეჯერი, ვიცე-პრეზიდენტი, თანაპრეზიდენტი.

1988 წელს არავის სჯეროდა, რომ ამ საქმიდან რამე გამოვიდოდა. პირველი პროფესიული ფეხბურთის კლუბი, შრომის წიგნაკში — „ფეხბურთელი", უზარმაზარი ხელფასები, მანქანები... მაშინ ასეთი რამ დაუჯერებელი იყო.

აქედან დაიწყო პრობლემები, ცა ობეხესი და რა ვიცი, რა არ გალახდა „მრეტებს".

აქედან დაედო ტაბუ „მრეტების" სახელს.

1989 წლის ზამთარში, მრეტების მიერ ორგანიზებული პირველი ტურნირი სსრკ-ს უმაღლესი ლიგის გუნდების მონაწილეობით და პირველი გამარჯვება, აღფრთოვანებული გულშემატკივრის პირველი დაჯერება, თურმე ყველაფერი ეს რეალობაა.

შემდეგ, კვლავ „მრეტების" მიერ ორგანიზებული „საქართველოს ჩემპიონატი" ჩვენი დიდი გუნდების (გარდა, თბილისის „დინამოსი!") და პოლონეთის გკს-ის მონაწილეობით.

კვლავ გამარჯვება!

შემდეგ, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის დამფუძნებელი ყრილობა, გაწევ-გამოწევა, მამაჩემი („დინამო") და მე („მრეტები") აქაც სხვადასხვა მხარეს აღმოვჩნდით...

შემდეგ, ფედერაციის მადლობის წერილი მრეტებს (ვაჟა ჩხაიძე სამართლებრივ რაკურსში).

შემდეგ, დამოუკიდებელი საქართველოს ეროვნული ჩემპიონატი, მრეტების განუმეორებელი, ტრიუმფალური სვლა: მეორე ლიგა, პირველი ლიგა, უმაღლესი ლიგა, ზედიზედ წელიწადნახევარში!

17-19 წლის ბიჭებით მოგებები „დინამოსთან", ფაქტობრივად, მაშინდელ საქართველოს ნაკრებთან!

ბუბა ტყავაძის განუმეორებელი გოლები.

შემდეგ, გიორგი ქინქლაძის ამობრწყინება.

მამუკა კვარაცხელია (წერილების სერია „ქართულ ფეხბურთში"): „მრეტები: ვენი, ვიდი, ვიცი!"

„პოეტები ლექსებს უძღვნიდნენ" მრეტებს:

„მწვანე მინდორზე კონცერტი,
სტილი — ქართული, შემტევი!
მამული გულში დაჭრილი
და მოლოდინი მრეტების.
ვერ შეაჩერონ ვერაფრით:
შურით, ღალატით, კეტებით.
ბრწყინავს მომავლის სტრიქონი:
რეალი, პორტო, მრეტები!
მალე გვენახოს, სეხნიავ
(ფიქრის ცა, ნატვრა სვეტების):
საქართველოში მშვიდობა
და ევროპაში მრეტები!"
ვაჟა ხორნაული (1993)

მერაბ ჟორდანია („მრეტების" ოფისში შეხვედრაზე, 1993): „ქართულ ფეხბურთში ასეთი რამ მხოლოდ ანდრო ჟორდანიამ გააკეთა, თბილისის „სპარტაკში".

ბუბა ტყავაძე: „მრეტები"? ამას ენით ვერ იტყვი. ეს უნდა ნახო, განიცადო!"

საინტერესო დეტალი: ფედერაციამ პირველ სამ სეზონში დაასახელა და დაწესებული პრიზები გადასცა წლის საუკეთესო ფეხბურთელს, წლის საუკეთესო მსაჯს და ა.შ. მაგრამ წლის საუკეთესო მწვრთნელი არც ერთხელ არ დასახელებულა (ეს პრიზი მხოლოდ ვაჟა ჩხაიძის გერმანიაში წასვლის შემდეგ გადაეცა რეზო ძოძუაშვილს).

ვაჟა ჩხაიძის სახელს, გარეთ ტაბუ დაედო.

შემდეგ, ნოდარ ახალკაცის მრავალი და მრავალნაირი შემოთავაზებები (იცის ამის შესახებ კვინიკაძემ, ამირეჯიბმა, ჩივაძემ, დარსაძემ, ქარქაშაძემ).

ვაჟა ჩხაიძე: „ჯერ წესი, შემდეგ თამაში! პაიჭაძე და მესხი დახაზულ მოედანზე იბადებიან!"

შემდეგ, თბილისის „სპარტაკის" და ანდრო ჟორდანიას ბედისწერის განმეორება: „მრეტების" ჩაძირვა, ვაჟა ჩხაიძის „ემიგრაცია".

შემდეგ, „მრეტები" „დინამოს" წინაალმდეგ, ფედერაციის წინაალმდეგ, ფიფას წინაალმდეგ, ბლატერის წიანაღმდეგ– ვაჟა ჩხაიძე „მრეტების", ქართული ფეხბურთის ადვოკატი ხდება, მისი წერილები რეგულარულად იბეჭდება ქართულ პრესაში.

ქართულმა სპორტულმა პრესამ მაშინ ივაჟკაცა, ძალზე ძნელი იყო მარადიული ჩემპიონის მითის პირისპირ დგომა.

მე (ირაკლი ქავთარაძე, ტელეფონით): „რაო, ვაჟა, „დინამო" დააჯარიმეს სასამართლოს გამო?! ნამდვილად? დამაჯერე!"

მერაბ მამულაშვილი (ფაქსით გერმანიაში): „ფეხბურთზე გულაყრილი ისევ თქვენი, „მრეტების" სიყვარულით დავუბრუნდი სტადიონს. ძლიერ გავიხარებდი, თუკი კლუბი სფინქსივით აღდგება. ეს მარტო მე არ მჭირდება. „მრეტები" მხოლოდ ფეხბურთის კლუბი არ იყო. მასში დაკარგულ სულს ვხედავდი, გაღვიძებულს, ლაღსა და ლამაზს. დღეს კი ჩაკლული სული მის დაბრუნებას ძლიერ ნატრობს".

შემდეგ, გერმანიიდან დაბრუნება, კვლავ ბრძოლები, მისი წიგნის, „მრეტების" პრეზენტაცია და ანონსი წიგნისა — „მრეტები" ბლატერის წინააღმდეგ"– საქართველოში ბლატერის ვიზიტის გადადება!

მერაბ მამულაშვილი (ვაჟა ჩხაიძის წიგნის პრეზენტაციაზე): „ნუ მიწყენენ და... არც ტყავაძეს და არც ქინქლაძეს, არც „მრეტებამდე" და არც „მრეტების" შემდეგ, მრეტული ფეხბურთი აღარ უთამაშიათ".

თენგიზ გაჩეჩილაძე (ვაჟა ჩხაიძის წიგნის პრეზენტაციაზე): „შესახედავადაც და, რაც მთავარია, შინაარსით ეს ლამაზი წიგნი, ხელში აღებისთანავე, როგორც იტყვიან, სულმოუთქმელად ჩავიკითხე. თავდაპირველად წერის მანერამ და სტილმა, აზრის ტევადობამ, ქვეტექსტების სიუხვემ მიმიზიდა, მერე და მერე თვალწინ გადაიშალა არცთუ შორეული წარსულის სურათქვა, მძიმე წლების განცდები, რომელმაც ყველა მოიცვა. თანდათან გამოიკვეთა მარად ნაცნობი პრობლემები, ფილოსოფიურ პრიზმაში. გამოჩნდა ავტორის ცხოვრებისეული კრედო, ქრისტიანული მრწამსი — მიმტევებლობა, მოყვასის სიყვარული, სიმართლე, სულგრძელობა. არანაირი ბოღმის ნატამალიც კი, რწმენით სვლა სიმართლის დასამკვიდრებლად. ნიშანდობლივი ბოლოსთვის შემოვინახე — ფეხბურთის ცოდნა, რის გამოც ავტორის შეხედულებები და შეუპოვრობა, სულაც არ არის რამე ახირება, უმიზნო კაპრიზი. წაიკითხავთ ამ ლამაზ წიგნს და დარწმუნდებით, რომ ეს კაცი აუცილებლად უნდა მოსულიყო ფეხბურთში. სწორედ ასეთ კაცს შეეძლო დაეწერა ეს მშვენიერი წიგნი".

შემდეგ, წერილების სერია ფეხბურთის გლობალიზაციის პრობლემებზე, ბლატერთან, იუჰანსონთან, ჰაიატუსთან და სხვებთან. ეს წერილები ამა წლის 28 ივნისის პრესკონფერენციაზე დაურიგდა მედიას, სამწუხაროდ, არ დაბეჭდილა. არადა, ამასობაში, უეფამ ვაჟა ჩხაიძის წერილებში დაძრული მწვავე პრობლემების გადაწყვეტა დაიწყო.

შემდეგ, ზენ-რუფინენთან გამომშვიდობება და ბლატერის რიგიც მოდის.

მესმის, ძნელია ამ ყველაფრის დაჯერება, ამიტომ ეძახდნენ გერმანელები „რენესანსმენს".

თანაც, ვაჟა ჩხაიძე ძნელი კაცია, ძალიან ძნელი. მე მკითხეთ, რამდენჯერ მიკამათია, მიჩხუბია მასთან... მისი ერთ-ერთი გამზრდელი ამბობს ხოლმე, პიროვნება ძნელიაო. ჭეშმარიტად!

მე მუდამ მჯეროდა ამ კაცის, მისი მოულოდნელი პროფესიონალიზმის, იმ ბრძოლის ჟინის, რაც მას ახასიათებს მიზნის მისაღწევად.

მიზანი კი ქართული ფეხბურთის გადარჩენაა და მას წინ ვერანაირი ძალა ვერ დაუდგება.

შეუძლებელია ამ კაცს მოუსმინო და, ვინც გინდა იყო, არ აენთო.

ვერანაირი საეთერო დროის წართმევა მას ვერ დააბრკოლებს, პირიქით, სხვებს გაურთულდებათ საქმე.

ვაჟა ჩხაიძეს გვერდში მთელი საქართველო დაუდგება.

ეს უნდა იცოდეს ყველამ, ამ რწმენადაკარგულ დროში.

ვაჟა ჩხაიძე ხალხს უყვარს!

ხალხი კი გულშემატკივარია, კლუბიც გულშემატკივრისაა და ისე იქნება, როგორც გულშემატკივარი გადაწყვეტს და არა მედროვენი.

მახსოვს, ხალხი ფედერაციას ასე მიმართავდა: „ჩამოვა ვაჟა გერმანიიდან და მაშინ ნახავთ!"

ჩამოვიდა, ნახა, გაიმარჯვებს.

დღეს უკვე 15 ივლისია.

მაინც კიდევ გადავხედე ბოლო პერიოდის პრესას და აუცილებლად უნდა ვთქვა, რომ ორი რამ არის გამოგონილი, შეთხზული.

ვაჟა ჩხაიძე არანაირი „იაკობი", „დონკიხოტი", „მარტოსული", „ჩივილის რომანების დიდოსტატი", „ალაფურშეტის კაცი" არ არის. ეს ქართული ფეხბურთის გულშემატკივრიდან არ მოდის, ეს სხვა მხარის შეთხზულია. „ციცერონის პროზა", კი ბატონო, ასე უწოდებდა მის ნაწერებს მიუნხენელი ადვოკატი თომას ქროდერი. ან რა „ალაფურშეტის კაცზეა" საუბარი, როცა აზარტული მოქეიფეა, დაუჯერებელი გურმანი, თვალახვეული ცნობს ნებისმიერ ქართულ ღვინოს (თავად სანწაულ ატენურს აყენებს)! მარტო ხომ არასდროს ყოფილა ცხოვრებაში. ასე რომ, მისგან ჭურ-მარანის მოთხოვნა ნაღდია. ვაჟა ჩხაიძე ქართული თამაშის წესის კაცია და არა ევროპულის.

ვაჟა ჩხაიძე: „ჩვენთვის დამღუპველ აზრს გვაპარებენ: ქართულ ეთნოსს თამაშის წესში, კანონში ჩაჯდომა არ ძალუძს, ამიტომაც არ აქვთ სამოქალაქო კულტურაო. არნახული სიცრუეა! პირიქითაა: დედამიწაზე არ არსებობს სხვა ერი, ასე ათასწლეულობით რომ იჯდეს თამაშის წესში! თანაც, ჯგუფური შემოქმედების წესში! ქართული სუფრაა ამის დასტური! განსაკუთრებით, ჭირის სუფრა. ლხინისა დაგვიძვირდა, რადგან გამარჯვებები დაგვიძვირდა! გამარჯვებები კი იმიტომაც დაგვიძვირდა, რომ ბრძოლის ველი წაგვართვეს, ჩვენთვის უცხო კულტურა, უცხო თამაშის წესები მოგვახვიეს თავს! ჩვენ ვერასდროს ჩავჯდებით ამ წესებში, წინააღმდეგ შემთხვევაში, ჩვენ ჩვენ აღარ ვიქნებით! და მაშინ ე.წ. „ნაციონალური მოძრაობები" ველარ გვიშველის, რადგან ყოველგვარი „ნაციონალიზმის" ყვირილი ერის იდეური უძლურების შედეგია! ჩვენ მხოლოდ ის ფასეულობები გადაგვარჩენს, რის მიმართაც იდუმალი ეროვნული ინსტინქტი გაგვაჩნია. აი, ესაა ჭეშმარიტება, ქართული ჭეშმარიტება! ქართული ფეხბურთის ისტორიაა ამის დასტური! ამიტომაც ვამბობ, ჩემო ლამაზო გულშემატკივარო, მხოლოდ ანდრო ჟორდანია გადაარჩენს ქართულ ფეხბურთს!"

რაც შეეხება ზოგ-ზოგის გამონათქვამს „ვაჟა ჩხაიძის თეატრის" შესახებ. ჯერ ერთი, ასეთი სპექტაკლების დადგმა მხოლოდ რჩეულთა ხვედრია, ასევე ამ სპექტაკლების აღქმა! მეორეც, მე მას ვურჩევდი: ფეხბურთზე მართლაც პროფესიონალებმა ილაპარაკონ და არა პოპულისტებმა!

დროა ქართულ ფეხბურთში პროფესიონალები, საქმის მცოდნე წესიერი კაცები მოვიდნენ.

სწორედ ასეთი კაცები ორი წელია მთხოვენ, არ მერიდება ამ სიტყვის ხმარების, მემუდარებიან, შევახვედრო ვაჟა ჩხაიძეს.

მალე შევახვედრებ და მოვლენ კიდეც ქართულ ფეხბურთში!

თბილისი, 2002 წლის 15 ივლისი
ირაკლი ქავთარაძე
ფკ „მრეტები თბილისის" პრეზიდენტი


მრეტი ბუბა ტყავაძე (ბურთით) ქუთაისის „ტორპედოს" კარს უტევს





გრემ ტეილორის უილბლო ნაკრები ტერი ვენეიბლზმა ევროპის ჩემპიონატის ნახევარფინალში გაიყვანა






გლენ ჰოდლს სიტყვა წინ დაუხვდა ბობი რობსონის და კევინ კიგანის ნაკრებებმა კი გერმანიასთან წაიმტვრიეს ცხვირი

# პრემიერლიგა დაიხუთა

„ნიუკასლი", „ასტონ ვილა", „ტოტენჰემი", „მანჩესტერ სიტი" და „ლიდსი" — რა აერთიანებს ამ ხუთ კლუბს? — პრემიერლიგა. მართალია, მაგრამ მათ კიდევ აქვთ საერთო ნიშანი, ხუთივეს ნაკრებმოვლილი სპეციალისტები წვრთნიან. შარშან ასეთი სამი იყო, ახლა კი „მანჩესტერ სიტის" ალმზევებელი კევინ კიგანი და „ლიდსში" ახალდანიშნული ტერი ვენეიბლზი შეემატნენ. ასე რომ, პრემიერლიგაში ნაკრებმოვლილთა ერთგვარი მინი-შეჯიბრი გაიმართება.

ბობი რობსონმა ინგლისის ნაკრები 1990 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის ნახევარფინალში გაიყვანა. იქ გერმანიასთან პენალტებით დამარცხდა და ნაკრებსაც ჩამოშორდა. მერე ჰოლანდიაში „პსვ ეინდჰოვენს" თავკაცობდა, პორტუგალიაში „პორტუს", ესპანეთში „ბარსელონას". ესპანეთიდან სამშობლოში დაბრუნდა, „ნიუკასლს" გაუძღვა და მისუსტებული „კაჭკაჭები" წინა სეზონში მეოთხე ადგილზე გაიყვანა.

გრემ ტეილორის კარიერა ქვეყნის მთავარ გუნდში შთამბეჭდავი არ ყოფილა. მან 1994 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე ინგლისელთა გაყვანა ვერ მოახერხა. მოგვიანებით იგი „უოტფორდში" დაბრუნდა, სადაც თავის დროზე სახელი გაითქვა. უოტფორდელებს გრემ ტეილორმა ისტორია შეუქმნა, როცა გუნდი არსებობის მანძილზე პირველად ალაზევა პრემიერლიგაში. ახლა ტეილორი ბირმინგემის „ასტონ ვილას" თავკაცობს და საკმაოდ კარგი გუნდიც შეკრა.

გლენ ჰოდლის ნაკრებმა ბოლოსწინა მსოფლიოს ჩემპიონატის მერვედფინალს კი უწია, თუმცა იქ არგენტინასთან პენალტების სერიაში დამარცხდა. მიუხედავად ამისა, იგი მაინც დატოვეს პოსტზე. იმავე 1998 წლის შემოდგომაზე ჰოდლმა ერთ-ერთ ინტერვიუში თავის საზიანოდ ილაპარაკა. მან თქვა, რომ ყველა ინვალიდს წინა ცხოვრებაში ცოდვები აქვს ჩადენილი და ამიტომაც იტანჯებიანო. ეს არ აპატიეს. გლენ ჰოდლი იძულებული გახდა, ნაკრები დაეტოვებინა.

შელახული სახელის აღდგენა მან „საუთჰემპტონში" მოახერხა. მუდმივად პრემიერლიგაში დასარჩენად მებრძოლი გუნდი ცხრილის ქვედა ნაწილიდან ცოტა ზემოთ აიწია. მერე საუთჰემპტონიდან ლონდონში, „ტოტენჰემში" გადაბარგდა და დღესაც „მამლების" მწვრთნელია.

კევინ კიგანმა კი გერმანიასთან საშინაო მარცხის, 0:1-ის შემდეგ დატოვა ნაკრები. ეს 2000 წლის სექტემბერში მოხდა. მაშინ კიგანმა განაცხადა, სანაკრებო დონემდე ჯერ არ გავზრდილვარო. გადადგომის შემდეგ მან ცოტა ხანს ფეხბურთისგან დაისვენა, რის მერეც „მანჩესტერ სიტის" მწვრთნელობა გადაწყვიტა. მისი მეცადინეობით „სიტი" კვლავ დაუბრუნდა პრემიერლიგას, გულშემატკივრები კი აღნიშნავენ, ასეთი ლაღი ფეხბურთი 70-იანი წლების შემდეგ ჩვენს გუნდს არ უთამაშიაო.

ზემოჩამოთვლილ ოთხეულს ბოლოს ტელეკომენტატორად ნამუშევარი ტერი ვენეიბლზი შეუერთდა. მისეულმა ნაკრებმა 1996 წლის ევროპის ჩემპიონატის ნახევარფინალში, სამშობლოში, გერმანიის ძლევა ვერ შეძლო. მას შემდეგ ვენეიბლზმა მწვრთნელობას თავი დაანება და, როგორც გითხარით, კომენტატორობას მიჰყო ხელი. ახლა ლიდსელები მთელ იმედს მასზე ამყარებენ. ინგლისში იმასაც ამბობენ, ვენეიბლზი და „ლიდსი" ერთმანეთს ძალიან უხდებიანო.

**მაჭა ხუციშვილი**

# მისცემ, ინანებ, არ მისცემ, ინანებ

**კირხის** მედიაიმპერიის მსხვრევამ გერმანიაში და TV დიჯითალისა ინგლისში, ბობოლა კლუბებიც გვარიანად ჩააფიქრა. მართალია, ინგლისური პრემიერლიგის კლუბებს SKY-სთან დადებული კონტრაქტების წყალობით, TV დიჯითალის გაკოტრებით ბევრი არ დაუკარგავთ, მაგრამ ფაქტი ფაქტად რჩება — დიდი კლუბები დიდ ტრანსფერებზე აღარ ფიქრობენ.

სხვათა შორის, ასეთი ტენდენცია მთელ ევროპაში ვრცელდება. ჯერჯერობით არც ესპანეთში გაჩარხულა ათეულმილიონიანი ტრანსფერი და არც იტალიაში. წლეულს დამკვიდრებულ ტენდენციაზე ლონდონის „არსენალის" მწვრთნელმა არსენ ვენგერმაც გაამახვილა ყურადღება:

„ჩვენ კრიზისში ვართ. ევროპული ფეხბურთი ტელეკონტრაქტებზე იმდენადაა დამოკიდებული, რომ TV დიჯითალის კოლაფსმა ბევრი რამ შეცვალა. ინგლისში და მთელ ევროპაში მიხვდნენ, რომ შეიძლება, ტელევიზიიდან მოსული ფულის ნაკადი ერთ მშვენიერ დღეს შეწყდეს. გადახედეთ სატრანსფერო ბაზარს, ჯერჯერობით არც ერთი დიდი გარიგება არ შემდგარა."



არსენ ვენგერი

არსენ ვენგერს შეშფოთების საფუძველი აქვს. თავად მან ჯერჯერობით მხოლოდ ფრანგული „ლილის" მცველი პასკალ სიგანი დაიმატა. სხვა სასურველ ფეხბურთელებზე კი კლუბის ხელმძღვანელობამ უარი უთხრა, ფული არ გვაქვსო. ასეთივე ვითარებაა „ლიდსში" და „ჩელსიშიც". ეს უკანასკნელი სულაც ფეხბურთელების იჯარით აყვანაზეა გადასული.

„საერთოდ, მოთამაშის რეალური ფასის განსაზღვრა დღესდღეობით მეტად გაძნელებულია. ვთქვათ, ვინმეში 18 მილიონი გირვანქა გადავიხადე, გაისად ის შეიძლება, ამ თანხის მეათედიც არ ღირდეს" — დასძინა ვენგერმა.

**სერგი ძორიძე**

# მე ვიყო კინი
## ნევილს ბექემობა მოუნდა

**ინგლისელმა** მცველმა ფილ ნევილმა „მანჩესტერ იუნაიტედის" ხელმძღვანელობას ულტიმატუმი წაუყენა. 25 წლის ფეხბურთელი იქადნება, თუ ამ სეზონშიც არ დამაფასებთ სათანადოდ, იძულებული ვიქნები, იმ კლუბიდან წავიდე, რომელსაც მთელი კარიერის განმავლობაში ერთგულად ვემსახურები და სხვაგან ვეძებო ბედიო. სათანადოდ დაფასებაში კი ფილ ნევილი „იუნაიტედის" ძირითად შემადგენლობაში რეგულარულად თამაშს გულისხმობს.

„მოვიდა დრო, როცა საკუთარი თავი უნდა დავიცვა — ამბობს ნევილი — როცა სეზონში 25-30 შეხვედრას გათამაშებენ, ნიშნავს, რომ საუკეთესო რეზერვი ხარ, მე კი ეს ხელს არ მაძლევს. ჩემი მიზანია, დევიდ ბექჰემის და როი კინის მსგავსად სეზონში 40-50 მატჩი ჩავატარო."

ვინ არ იცის, რომ „იუნაიტედის" თავკაც ალექს ფერგიუსონთან ულტიმატუმის ენით ლაპარაკი არავის გასვლია. მაგალითად ისიც კმარა, რომ მწვრთნელმა წინა სეზონში თავად დევიდ ბექჰემიც კი გაამწესა ცოტა ხნით სათადარიგოთა სკამზე, რადგან მოეჩვენა, რომ ნახევარმცველი კლუბს თავხედურ მოთხოვნებს უყენებდა.




ფილ ნევილმა ფერგიუსონს შემინება დაუპირა

ფილ ნევილმა, ცხადია, იცის, რომ ის ბექჰემი არ არის და ამიტომ თუ დევიდი მხოლოდ რამდენიმე კვირა იჯდა რეზერვში, თავად, თუ ბევრი ილაპარაკა, შესაძლოა, საერთოდ ვერ მოახერხოს მომავალ სეზონში სათადარიგოთა სკამიდან წამოდგომა. ამიტომაც ტყუპისცალმა ჭკუა იხმარა და ულტიმატუმი შეარბილა, თქვა, სერ ალექსმა შანსი მომცეს და ჩემს სიძლიერეს დავუმტკიცებო.

გავიხსენოთ ისიც, რომ ფილ ნევილი ინგლისის ნაკრების მწვრთნელმა სვენ გორან ერიკსონმა ეროვნულ გუნდში არ გამოიძახა. მის ნაცვლად მსოფლიოს პირველობაზე ასევე მანჩესტერელი ნიკი ბათი მოხვდა. ამის თაობაზე ნევილმა განაცხადა: „ბოლო წლებია, მეც და ნიკიც თანაბარ პირობებში ვიყავით. სეზონში თითქმის თანაბარი რაოდენობის მატჩებს ვატარებდით. მსოფლიოს ჩემპიონატზე კი მას შანსი მისცეს, მე კი არა."

**ნიკა შუბლაძე**

იყიდება
ვაკეში, ჯიქიაძეზე ახალგარემონტებული,
4-ოთახიანი, დუპლექსის ტიპის ბინა
ტ: 29-13-75; 899 11-64-46


ეროვნული ბიბლიოთეკა



ჟერარ ულიე ლივერპულის უნივერსიტეტის საპატიო დოქტორიც არის

# ულიე ეძებს ტალანტებს

**ინგლისურ** პრემიერლიგაში ბურთის გაგორებამდე რამდენიმე კვირაღა დარჩა, მაგრამ „ლივერპულის" ფრანგი მწვრთნელი ჟერარ ულიე ახალი ფეხბურთელების გადაბირებას ჯერ კიდევ აპირებს. მერსისაიდელებმა, რომლებიც წინა სეზონში მეორე ადგილზე გავიდნენ, ერთი თვის წინ დაიბევეს ბრუნო შეირუ, ალიუ დიარა და ელ-ჰაჯი დიუფი, რომელმაც მედიდურად განაცხადა: მჯერა, რომ მსოფლიოს ერთ-ერთ უძლიერეს კლუბში, ჟერარ ულიეს მეთაურობით, წარმატებას მივაღწევო.

ჯამში, ყველაფერმა ერთად, „ლივერპულის" ქისა ოდნავ კი შეამსუბუქა, მაგრამ ულიე კმაყოფილია და ასე ამბობს:

„კარგია, გაწამაწიაში რომ ხარ. მთელი ზაფხული ვმუშაობდით და დღეს გაკეთებული საქმეები კმაყოფილებას მგვრის. ახალი ფეხბურთელების ყიდვა ჯერ კიდევ არ დაგვიმთავრებია. ჩვენ ვეძებთ ნიჭიერ მოთამაშეებს, რომელთაც მუშაობა სურთ და გამარჯვება სწყურიათ. მწამს, ვინც ვიყიდე, სწორედ ამ თვისებებითაა დაჯილდოვებული."

ჟერარ ულიეს იმედი ჰქონდა, რომ გუნდთან ერთად ლი ბოიერიც დაიწყებდა ვარჯიშს, ხოლო კვირის ბოლოს შვეიცარიაშიც გაჰყვებოდა შეკრებაზე, თუმცა ყველაფერი ისე ვერ აეწყო, როგორც ფრანგს სურდა.

ლი ბოიერის „ლიდს იუნაიტედიდან" „ლივერპულში" 9 მილიონ გირვანქიანი ტრანსფერი ჩაშლის პირასაა. ფეხბურთელმა ლივერპულელებთან ხელფასის ოდენობაზე ვერ გამონახა საერთო ენა. საქმე ის არის, რომ 25 წლის თავდამსხმელს „ლივერპულში" 5 ათასით ნაკლებს ჰპირდებიან, ვიდრე „ლიდსში" დარჩენის შემთხვევაში ექნებოდა.

ცნობილია, რომ ულიეს ბლექბერნელი დემიენ დაფის შეძენაც სურს. ამ ირლანდიელი ფეხბურთელის თაობაზე „ლივერპული" ამ კვირის დარჩენილ დღეებში აპირებს მოლაპარაკების გამართვას. თუ დაფი „ბლექბერნთან" კონტრაქტს არ განაახლებს, სავარაუდოდ, 31,44 მილიონ დოლარად ულიეს ქვეშევრდომთა რიგებში მოექცევა.

ახალ კლუბში უკვე ივარჯიშა ორმა ახალწვეულმა — ალიუ დიარამ და ბრუნო შეირუმ.

„შეირუ მარცხენა ფრთაზე თამაშობს — განმარტავს ულიე — მას ინგლისურ ფეხბურთთან შეგუება მოუწევს, რასაც შესაძლოა, თვეებიც დასჭირდეს. გახსოვთ, რობერ პირესის მაგალითი? მაგრამ შეირუ იმდენად ნიჭიერია, რომ შესაძლოა, შემდეგ, სხვადასხვა პოზიციაზეც კი გამოგვადგეს. ელ-ჰაჯი დიუფი ანელკას შეგვიცვლის. ბევრჯერ მითქვამს, რომ ჩვენ ხუთი ფორვარდი უნდა გვყავდეს და ახლა სწორედ ხუთი გვყავს. ამასთან, დიუფს ლივერპულელობის დიდი სურვილიც შევნიშნე."

ახალი ფეხბურთელების მატებასთან ერთად ჟერარ ულიემ კიდევ ერთი სასიამოვნო სიახლე შეიტყო, კუნთების იშვიათი დაავადების გამო თითქმის ერთწლიანი შესვენების შემდეგ ვარჯიში განაახლა გამოცდილმა გერმანელმა მცველმა მარკუს ბაბელმა.

„ყველა ისე მეპყრობა, თითქოს გუნდში ახალჩარიცხული ვიყო. სრული დატვირთვით დავიწყე ვარჯიში და მოუთმენლად ველი ახალი სეზონის დაწყებას. ბოლოს, როცა „ლივერპულში" რეგულარულად ვთამაშობდი, გუნდმა ბევრი ჯილდო მოიგო. იმედი მაქვს, წლეულსაც იგივე გამეორდება" — განაცხადა მიუნხენის „ბაიერნისა" და გერმანიის ნაკრების ყოფილმა მოთამაშემ.

შეგახსენებთ, რომ ბაბელმა სრული სეზონი ბოლოს 2000-01 წლებში ითამაშა და „ლივერპულს" უეფას, ინგლისის ფეხბურთის ასოციაციის და ლიგის თასების მოპოვებაში დაეხმარა.

ამასობაში კი, „ლივერპულმა" თავისი ფეხბურთელები 2002-03 წლების სეზონისთვის გადანომრა. ახალწვეულ ელ-ჰაჯი დიუფს 9-ნომრიანი მაისურა ერგო, რომელსაც წინა სეზონში ნიკოლა ანელკა ატარებდა. მეკარე ირჟი დუდეკი შარშან 12-ნომრიანი მაისურით თამაშობდა, ახლა კი მის ზურგზე ციფრი 1 ეწერება.

ქვემოთ უკვე გადანომრილ შემადგენლობას გთავაზობთ, სადაც 11 და 12 ნომრები ჯერჯერობით თავისუფალია და როგორც კლუბის ხელმძღვანელობა აცხადებს, ამ ორ ნომერს გუნდის მომავალი ახალწვეულები ირგუნებენ.

**ნიკა შუბლაძე**

1 ირჟი დუდეკი
2 სტეფან ანშო
3 აბელ შავიერი
4 სემი ჰიიპია
5 მილან ბაროში
6 მარკუს ბაბელი
7 ვლადიმირ შმიცერი
8 ემილ ჰესკი
9 ელ-ჰაჯი დიუფი
10 მაიკლ ოუენი
13 დენი მერფი
14 ვეგარდ ჰეგემი
15 პატრიკ ბერგერი
16 დიტმარ ჰამანი
17 სტივენ ჯერარდი
18 იონ არნე რიისე
19 პეგი არპეშაგი
20 ნიკ ბარმბი
პეტერ პეშელი (კონტრაქტი დაუმთავრდა)
დინო ტოპმიოლერი (აინტრახტი)
მოვიდნენ
რაიმონ კალა (ესტრემადურა, ესპანეთი)
ტოდი გუდიონსონი (ლას პალმასი, ესპანეთი)
ფილიპ ტაპალოვიჩი (მიუნხენ 1860)
მიხაელ ვრაიზე (იურდინგენი)


ჯულიუს აგაოვა

# გარისკე და გაყიდე
## შახტარს აგაოვაზე რიგი დაუდგა

**გახსოვთ** ნიგერია — შვედეთის სამუნდიალო მატჩი? თუ გახსოვთ, ისიც გეხსომებათ, რომ ამ შეხვედრაში ანგარიშის გამხსნელმა ნიგერიელმა ჯაბუკმა ჯულიუს აგაოვამ გოლის აღნიშვნისას შესაშური აკრობატული ნიჭი გამოავლინა — ხუთმაგი მალაყი გაჭიმა და ტანმოვარჯიშეები აალაპარაკა, ამ ბიჭს ფეხბურთში რა უნდა, ჩვენს სახეობაში უეჭველად მსოფლიოს ჩემპიონი გახდებოდაო.

ეს თვალწარმტაცი სანახაობა „არსენალის" მენეჯერ არსენ ვენგერსაც უნახავს, თან ტრიბუნიდან და დიდი ეფექტიც მოუხდენია — ისე, გოლსაც არა უშავდა.

ჰოდა, იმის თქმა გვინდა, რომ მეთოფეებმა დონეცკის „შახტარს", სადაც აგაოვა თამაშობს, კარებზე მიუკაკუნეს და გვარიანი თანხაც შესთავაზეს.

აგაოვას ევროპელმა ბობოლებმა პირველად იანვარ-თებერვალში დაუინტერესებია აფრიკის თასზე თამაშისას. მაშინ 20 წლის ნიგერიელით იტალიური „ბებერი ქალბატონი" მოხიბლულა და დონეცკელებსაც 8 მილიონი ევროს გადახდას დაჰპირებია, მაგრამ საქმე ამაზე შორს აღარ წასულა.

ამჯერად, როგორც ზემოთ გითხარით, საქმე უფრო სერიოზულადაა. უკრაინული პრესის ცნობით, მავანმა ევროპულმა გუნდმა „შახტარს" 15 მილიონი ევრო შესთავაზაო. ეგებ იკითხოთ, ამგვარი წინადადებების მიღების შემდეგ რაღას ფიქრობენ უკრაინელებიო. გიპასუხებთ, რომ კლუბის პრეზიდენტი რინატ ახმეტოვი დუმს და მხოლოდ ერთ ფრაზას გაიძახის: „ამ თანხად აგაოვა არ იყიდება!" ამ ზაფხულის სატრანსფერო უძრაობის ფონზე გასაკვირია, არა? რაღაც შორს გამიზნულ გეგმასთან უნდა გვქონდეს საქმე.

თავიდან დავიწყოთ. „შახტარში" გადასვლიდან პირველივე სერიოზულ ტურნირზე (აფრიკის თასზე) აგაოვას სატრანსფერო ფასმა 8 მილიონ ევროს უწია. წლეულს ზაფხულში, მსოფლიოს ჩემპიონატზე გამოსვლის შემდეგ თანხამ 15-დან 20 მილიონამდე აიწია. დაბოლოს, „შახტარს" წლეულს ჩემპიონთა ლიგაში მოხვედრის პერსპექტივა აქვს და თუ უკრაინულმა გუნდმა ეს შეძლო, სავსებით რეალურია, ნიგერიელის ფასი კვლავ გაიზარდოს.

რა თქმა უნდა, ეს იდეა დიდ რისკთანაც არის დაკავშირებული. თუ დონეცკელებმა ვერ შეძლეს ჩემპიონთა ლიგაში შეღწევა, თავდამსხმელის ფასი ეგებ დაეცეს კიდეც. თუმცა, ეტყობა, რინატ ახმეტოვი რისკიანი კაცია, ან დარწმუნებულია თავისი გუნდის წარმატებაში. ერთი სიტყვით, ეს სატრანსფერო ციებ-ცხელება აუქციონს ჰგავს და რა ბედი ეწევა ფეხბურთელს, უეჭველად შეგატყობინებთ.

**ზურაბ რუხაძილი**

რესტორანი მზიანი ღამე






განახლებული მუშაობა გაუმჯობესებული ხარისხით
დილის 11 საათიდან ღამის 2 საათამდე

* პროფესიონალები სამზარეულოში და შთამბეჭდავი მენიუ — ქართული და ევროპული კერძების სიმრავლე და ნაირგვარობა.
* გსურთ წვეულების, ბანკეტის, ფურშეტის მოწყობა? მივიღებთ შეკვეთებს მომსახურების უმაღლესი დონის გარანტიით

კუტუზოვის ქუჩა №3
(ყოფილი ცირკის სასტუმროს პირველი სართული)
ტელეფონი: 38-68-41; (899) 56-30-74
მობრძანდით, გვენდეთ: კმაყოფილი დარჩებით

# სარბიელი და კროკო

## წარმოგიდგენთ

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | ნორვეგია. XV ტური | | | | | | |
| | | 20 ივლისი | | | | | | |
| 19.00 | 049 | მოლდე-ოდ გრენლანდი | 1,7 | 3,4 | 4,0 | 1,1 | 1,15 | 1,8 |
| 19.00 | 050 | მოსი-ბრანი | 2,5 | 3,2 | 2,4 | 1,4 | 1,2 | 1,35 |
| | | 21 ივლისი | | | | | | |
| 21.00 | 051 | ბრინი-ბოდიო გლიმტი | 2,2 | 3,2 | 2,9 | 1,3 | 1,2 | 1,5 |
| 21.00 | 052 | ლილესტრიომი-ლინი | 2,4 | 3,2 | 2,5 | 1,35 | 1,2 | 1,4 |
| 21.00 | 053 | ვოლერენგა-სტაბეკი | 2,2 | 3,2 | 2,9 | 1,3 | 1,2 | 1,5 |
| | | 22 ივლისი | | | | | | |
| 22.00 | 054 | რუსენბორგი-ვიკინგი | 1,55 | 3,6 | 5,0 | 1,05 | 1,15 | 2,05 |

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | ფინეთი | | | | | | |
| | | 18 ივლისი | | | | | | |
| 20.00 | 055 | ჰაკა-ჰაამეენლინა | 1,4 | 3,8 | 7,0 | 1 | 1,15 | 2,45 |
| | | შვედეთი | | | | | | |
| | | თასის 1/4 ფინალი | | | | | | |
| | | 18 ივლისი | | | | | | |
| 22.00 | 063 | აიკ-ჰამარბი | 2,1 | 3,1 | 3,2 | 1,2 | 1,25 | 1,55 |
| 22.00 | 064 | მალმიო-იორებრო | 1,8 | 3,3 | 3,6 | 1,15 | 1,1 | 1,7 |
| | | 19 ივლისი | | | | | | |
| 22.00 | 065 | იურგორდენი-ვასბი | 1,15 | 5,6 | 10,0 | 1 | 1 | 3,55 |

## კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ


სარბიელი

სპორტული ლატარია

CROCO

BOOKMAKERS

კროკო


## კროკოს ბიუროთა მისამართები

| | | |
|---|---|---|
| თბილისი | ფურცელაძის ქუჩა №10 | კინოთეატრ „რუსთაველის" შენობაში |
| | ალმაშენებლის გამზირი | №2 ცენტრალური ფოსტამტი |
| | გლდანი | I სავაჭრო ცენტრი |
| | ვაჟა ფშაველას გამზირი №46 | მეტრო „ვიქტორ გოცირიძესთან" (ყოფილი „დელისი") |
| | წინამძღვრიშვილის ქუჩა №200 | ეროვნულ სტადიონთან, ტელმანის ქუჩის კუთხეში |
| | გურამიშვილის გამზირი №50 | მეტრო „ღრმაღელესთან" |
| | წერეთლის გამზირი, კორპუსი №11 | |
| | ჭავჭავაძის გამზირი № 41 | |
| | გამსახურდიას გამზირი № 3 | |
| | ვაჟა ფშაველას გამზირი №91 | |
| | იოანე პეტრიწის ქუჩა №13 | დიდი დიღომი, მეორე მიკრორაიონი |
| | ხუდადოვის ქუჩა №4 | |
| | დიღომი, III კვარტალი, გრიგოლ რობაქიძის გამზირი, Iᵇ კორპუსი | |
| ქუთაისი | პუშკინის ქუჩა№16 | ტელეკომპანია „ივერიონის" შენობაში |
| | ფალიაშვილის ქუჩა№ 27 | |
| | ჭავჭავაძის № 67 | ცენტრალური ავტოსადგური |
| გორი | ცხინვალის გზატკეცილი №11 | წმინდაწყლის დასახლება |
| | სტალინის ქუჩა №14 | |
| თელავი | კოსტავას ქუჩა №23 | |
| რუსთავი | შარტავას ქუჩა №7 | |
| | კოსტავას გამზირი №23 | |
| ბათუმი | მემედ აბაშიძის ქუჩა №21 | ყოფილი სტალინის ქუჩა |
| | ერას ქუჩა №66 | ყოფილი გორკის ქუჩა |
| | ჯავახიშვილის ქუჩა №78 | |
| | ჭავჭავაძის ქუჩა № 113 | |
| | ალმაშენებლის ქუჩა № 21 | (სავაჭრო ცენტრი ალამი 1) |
| | ჭავჭავაძის ქუჩა № 13 | |
| ხელვაჩაური | ალმაშენებლის ქუჩა № 50 | |
| მარნეული | რუსთაველის ქუჩა №39 | |
| ოზურგეთი | გურიის ქუჩა №23 | |
| გურჯაანი | დავით გურამიშვილის ქუჩა №28 | |
| ფოთი | რკალი, რუსთაველის №18 | |
| საგარეჯო | დავით ალმაშენებლის №30 | |
| სამტრედია | რუსთაველის გამზირი №27 | |
| ხაშური | რუსთაველის ქუჩა №16 | |
| წნორი | სტალინის ქუჩა №1 | |
| ბორჯომი | რუსთაველის ქუჩა №145 | |
| ახმეტა | ჩოლოყაშვილის ქუჩა №49 | |
| ზესტაფონი | გრიგოლ რობაქიძის ქუჩა №6 | |
| ახალციხე | ნათენაძის ქუჩა №7 | |

*ამჟამად კროკოს ბიუროები მუშაობს მხოლოდ აქვე მითითებულ მისამართებზე და არსად სხვაგან. ყველა სხვა ქალაქში ან დასახელებული ქალაქების სხვა მისამართზე კროკოს სახელის, სიმბოლიკის, კოეფიციენტების გამოყენება უკანონოა, შპს კროკოს არ ეხება და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ისჯება.*



# სად არის თემურ დათიკაშვილი?

**ეს დღეებია,** საკალათბურთო წრეებში თბილისის „ვითას“ ყოფილ პრეზიდენტ თემურ დათიკაშვილის იდუმალ გაუჩინარებაზე ალაპარაკდნენ.

მეექვსე დღეა, დათიკაშვილის ასავალ-დასავალი არავინ იცის. იგი ბოლოს მეგობრებმა პარასკევს საპატრიარქოს სიახლოვეს ნახეს მანქანით, რის შემდეგაც არც „ვითას“ პრეზიდენტ-ყოფილი და არც მისი მანქანა აღარავის უნახავს.

არც ისაა ცნობილი, გატაცებულია თუ არა დათიკაშვილი. ახლობლების თქმით, არც ოჯახს და არც მათ, არავინ დაკავშირებია. მათივე განცხადებით, პოლიციაში იციან ამ ამბის შესახებ და სიმართლის დადგენისა და დაკარგულის გამოჩენის იმედი აქვთ.

# იკითხეთ და ითამაშეთ კალათბურთი!




**ქართული კალათბურთი** დღემდე ისე მოვიდა, თამაშის წესთა მშობლიურენოვანი სახელმძღვანელო არ ჰქონია. საბჭოთა ხანაში ამას ერთგვარი გამართლება ჰქონდა — გეუბნებოდნენ რუსული იკმარეთო! — დამოუკიდებლობის თერთმეტმა წელმა კი ისე განვლო, დიდსა თუ პატარას, მსაჯსა თუ მწვრთნელს საკალათბურთო საფუძვლებთან ზიარების წყაროდ უცხოური, ხშირ შემთხვევაში ისევ რუსული ლიტერატურა დარჩენოდა.

ქართულ კალათბურთში წესების ქართული სახელმძღვანელოს დასტამბვის საჭიროება მუდამ არსებობდა, თუმცა მის წიგნად გამოცემას ახლაღა დაადგა საშველი. კალათბურთის ფედერაციის ბავშვთა კომიტეტის თავმჯდომარემ, საქართველოს დამსახურებულმა მწვრთნელმა გია მიქაძემ ფრანგული და რუსული წყაროებიდან თანამედროვე კალათბურთის ფიბა-ს მიერ დადგენილი წესები გადმოაქართულა და ჩვენს სპორტულ ლიტერატურას ერთი წიგნიც შეემატა — „კალათბურთის ოფიციალური წესები“.

ფედერაცია ახალ სახელმძღვანელოს საკალათბურთო სკოლებს, მსაჯთა ასოციაციას, კლუბებსა და ყველა შესაბამის ორგანიზაციას დაურიგებს და ვგებ ამის შემდეგ მაინც შენელდეს მსაჯებთან ყველა ნიუანსზე დავა-კამათი. ეს წიგნი ერთვნული ჩემპიონატის მატჩებისას სამდივნოზეც აუცილებლად იდება და თუ ვინმეს მსაჯის გადაწყვეტილებაზე პრეტენზია გაუჩნდება, იოლად დაასკვნებენ.

**ირაკლი ბერტაია**

# ვარსკვლავების შუქზე კანონი ცუდად იკითხება

## აივერსონმა 54 წელი საფულეში ჩაიდო

**„ალენ აივერსონი** ვარსკვლავია და მეც, სხვა ათასობით ფილადელფიელივით, მისი გულშემატკივარი ვარ ტელევიზორთან და ტრიბუნაზე, მაგრამ ის პირველ რიგში ყველა ჩვენგანივით ჩვენი ქვეყნის მოქალაქეა და ვალდებულია, ისევე აგოს პასუხი დანაშაულზე, როგორც ნებისმიერმა სხვამ“ — თქვა ფილადელფიის პოლიციის შეფმა სილვესტერ ჯონსონმა.

მაგრამ აივერსონი უბრალო მოქალაქე რომ ყოფილიყო, ასე იოლად ვერ დაიძვრენდა თამოშვებულ თავს სამართალდამცავთა კლანჭებიდან. ცოლთან ჩხუბი და მისი სახლიდან გაგდება, ორი დღის შემდეგ კი პისტოლეტით ხელში მისი კარდაკარ ძებნა და უცხოთა საცხოვრისში შევარდნა ალენ აივერსონს სულ რაღაც 10 ათას დოლარად, პოლიციის განყოფილებაში 11-საათიან ყურყუტად და გაფრთხილებად დაუჯდა. არადა, მას 14 დანაშაულში ედებოდა ბრალი, დაწყებული ოჯახური ჩხუბიდან, ასული ქვეყნის მოქალაქეებზე ტერორისტულ თავდასხმამდე ყველა, თოთხმეტივე ბრალდების დამტკიცების შემთხვევაში კალათბურთელს 54 წლით პატიმრობა უმზერდა, მაგრამ, ხედავთ, მშრალი ამოვიდა წყლიდან. ათი ათასი დოლარი მისი დღიური გასამრჯელოს მეოთხედია, ერთი სიტყვით, მისთვის კაპიკებია.

ახლა წარმოვიდგინოთ, აივერსონის ადგილზე ქუჩაში ჰოთ დოგის გამყიდველი რომ აღმოჩენილიყო, რა მიმართულებით წავიდოდა საქმე. დღეში 30 დოლარის შემოსავლიან მეჰოთდოგეს პისტოლეტით ხელში სხვათა სახლში ყიალისთვის არა ერთი და ორი წლით ჩააყუდებდნენ ციხეში. ფულიან ვარსკვლავს კი ცოტაოდენი ჩამოაყაჩინეს და გზა დაულოცეს, აბა, შენ იცი, ძველებურად ითამაშე და მეტოქეთა ძლევით გაგვახალისეო.

ჯიბესავსე აივერსონს გარე მოვაჭრესთან და მისებრებთან ის უპირატესობაც აქვს, რომ ხეირიანი, ენაალესილი ადვოკატის დაქირავება შეუძლია. ვინძლო აივერსონმა ერთი-ორი ათასი იმ კაცსაც ჩაუთვალა და პირი მოაკუმინა, ვისაც ცოლის ძიებაში ღამით შინ შეუვარდა და ხელთოფი დაალერა.

არ იქნება, გულშემატკივართა მხარდაჭერა არ ვახსენოთ. როდესაც აივერსონი პოლიციის განყოფილებაში საკუთარი ფეხით გამოცხადდა და დაკითხვაზე წარდგა, ეს კი გუშინწინ მოხდა, სამმართველოს წინ მის ქომაგთა არმიამ მოიყარა თავი. არც პლაკატები და ძახილისნიშნიანი წარწერა-ლოზუნგები დავიწყებიათ და არც აივერსონის სამნომრა ფილადელფიური მაისურის ჩაცმა. ისინი ხანგრძლივი ბლოკადისთვის იყვნენ მზად და პირები დააღეს, როცა 11 საათის შემდეგ დაინახეს თავიანთი ჯილა მზის შუქზე. სწორედ ეს დრო დასჭირდა მის დაკითხვას, ბრალდებათა წარდგენა-უარყოფას და სხვა სამართლებრივ პროცედურებს.




ალენ აივერსონი პოლიციის ჯერჯერობით იოლად დაუძვრა

არადა, მანამდე პოლიციამ ისეთი რიხით გამოაცხადა, აივერსონს ვიჭერთო, ხოლო პრესამ ისეთი აყიოტაჟით აიტაცა ეს ამბავი, ხალხმა იფიქრა, არიქა, მთავარ ვარსკვლავს გვართმევენო და ასობით ფილადელფიელი ლამის გარს შემოეწყო პოლიციის სამმართველოს შენობას. „რა თქმა უნდა, ვღელავთ — ამბობდა ერთ-ერთი მხარდამჭერთაგანი — მის გარეშე „სიქსერზი“ ვერ გავა პლეი ოფში. გარდა ამისა, ალენი კარგი ბიჭია.“

ამ კაცისთვის და სხვა მისთანებისთვის ეს ამბავი კარგად დასრულდა. აივერსონი გადაურჩა ციხეს და კვლავ ძველებურად დაიხარჯება მოედანზე, მაგრამ არ ჩანს ტრადიციულ-ამერიკული ჰეფი ენდი. არ იტყობინებიან, შეურიგდა ალენი ცოლს, თუ არა.



მაიკ ბიბი (მარჯვნივ) არც ისე მაღალი და კარგია, მისი გულისთვის სახელფასო ფონდი გაზარდონ

# 40 მილიონი და მორჩა!

## ნბა-მ სახელფასო ფონდი გაკრიჭა

**გუშინწინ** ნბა-მ გამოაცხადა ახალი სახელფასო ფონდის პარამეტრები. ასოციაციის მეთაურთა გადაწყვეტილებით, 2002-03 წლების სეზონში თითოეული გუნდი მოთამაშეთა ხელფასის სახით გასცემს არაუმეტეს 40,271 მილიონი დოლარს.

ამ გადაწყვეტილებამ სერიოზულად აურია ნბა-ს კლუბებს სამომავლო გეგმები, რადგან სახელფასო ფონდი დაახლოებით ორი მილიონით შემცირდა წინა სეზონთან შედარებით, რაც უპრეცედენტო შემთხვევაა. 1985 წლიდან ანუ საერთო სახელფასო ჩარჩოების შემოღებიდან ფონდი განუწყვეტლივ იზრდება და 18 წელიწადში ორიოდ მილიონიდან ოთხ ათეულ მილიონს უწია. 2001-02 წლების სეზონში წინასთან შედარებით სახელფასო ფონდი დაახლოებით შვიდი მილიონით გაიზარდა და 42,5 მილიონი შეადგინა. ლიგის მზარდი შემოსავლის გათვალისწინებით, კლუბები იმედოვნებდნენ, რომ ნბა ტრადიციულად ასწევდა მილიონების ფანტვის ზედა თამასას და კლუბებსაც დამშვიდებით შეეძლებოდათ, გულუხვობის გამოჩენით სასურველი მოთამაშეები გადაებირებინათ, მაგრამ ნბა-ს მამებმა სხვაგვარად გადაწყვიტეს, ფონდს ცოტაოდენი ჩამოაჭრეს და კლუბებიც აწრიალეს.

ნბა-ს ჯერ არ დაუსახელებია ფონდის გაკრეჭვის მიზეზი, თუმც სპეციალისტები ვარაუდობენ, რომ ეს გამოიწვია წლევანდელმა თავისუფალ აგენტთა ბაზარმა, რომელიც შეუდარებლად უხარისხო „საქონელითაა“ წარმოდგენილი, ვიდრე შარშანდელი. წლევანდელი ბაზრის საუკეთესო აგენტები არიან მაიკ ბიბი, მაიკლ ოლოვოკანდი და რაშარდ ლუისი, ერთი სიტყვით, არც ძალიან კაშკაშა ბიჭები და ნბა თვლის, რომ გუნდები არ გააჩაღებენ ტაციაობას ამათი გულისთვის. შესაბამისად, ლიგამ საჭიროდაც არ ჩათვალა, ცოტა მეტის დახარჯვის უფლება მიეცა ერთმანეთის მოქიშპე კლუბებისთვის, პირიქით, თითოეულს ორ-ორი მილიონი აქეთ წაართვა.

ახალი სახელფასო ფონდის დადგენა ერთი დღით უსწრებდა თავისუფალ აგენტთა ბაზრის გახსნას.



ნბა-ს ერსთვგამრიგემ დევიდ შტერნმა სახელფასო ფონდის სეკვესტრი ინება

ამგვარად, 16 ივლისს გაირკვა, თუ რა თანხაში უნდა ჩაეტიონ გუნდები, როცა მოთამაშეებთან კონტრაქტებს გააფორმებენ, ხოლო 17 ივლისიდან, ანუ გუშინდელი დღიდან, ნბა-მ კლუბებს საკუთარი თუ სხვა კლუბების თავისუფალ აგენტთათვის ხელშეკრულების დადების ნებართვა მისცა.

თავისუფალ აგენტთა შორისაა ნბა-ში მოხვედრილი პირველი ქართველი კალათბურთელი ვლადიმერ სტეფანია. ვოვამ თავისი მეოთხე ნბა-ური სეზონი „მაიამი ჰითში“ მოილია. ახლა ის თავისუფალი აგენტია და მისი ნებაა, რომელი გუნდის მაისურით შეხვდება მორიგ სეზონს.

**ირაკლი ფირცხალავა**

# გრანტ ჰილმა 26-მილიონიანი ტრავმა მოირჩინა

**გრანტ ჰილის** გულშემატკივრებს გაუხარდათ ამის გაგონება: ექიმმა თქვა, რომ აღარ სურს სუპერკალათბურთელის დანახვა თავის სამუშაო კაბინეტში. პატივცემული დოქტორი მარკ მეიერსონი ამ სიტყვებში იმას კი არ გულისხმობდა, რომ ტრავმებით დატანჯულმა გრანტ ჰილმა ბოლო ორი წლის განმავლობაში მასთან ბარე ყოველდღე სირბილით თავი მოაბეზრა, არამედ იმედი გამოთქვა, რომ 90-იანი წლების ნბა-ს ერთ-ერთი უკაშკაშეს ვარსკვლავს თავიდან ღირიც აღარ ჩამოვარდება და ძველებურად, მორჭმით გააგრძელებს კარიერას. ექიმის თქმით, ჰილმა საბოლოოდ მოირჩინა წყეული კოჭის ტრავმა და ახლა ის სავსებით ჯანმრთელია.

„მისი კოჭი შესანიშნავად გამოიყურება და მწამს, აღარასოდეს დამჭირდება მისი გასინჯვა“ — თქვა წარმოშობით და საქმიანობით ბალტიმორელმა მეიერსონმა.

კოჭის დაშავებამდე ჰილი მაინცდამაინც არ გამოირჩეოდა ტრავმიანობით. თავისი ბრწყინვალე კარიერის პირველი ექვსი წელი ისე განვლიო, ფრჩხილი ან რამე ასეთი თუ წამოსტკივდებოდა. ის 2000 წლის პლეი ოფში დაშავდა, თან თითქოს არც ძალიან სერიოზულად. ჰილმა იმ ზაფხულს სიდნეის ოლიმპიადაზე წასვლას ფეხის მოშუშება არჩია და თან „დეტროიტიდან“ „ორლანდოში“ გადაბარგებული ამბობდა, ჩემს ახალ გუნდს ჩემპიონობას გავუშანსავო. არ გამოვიდა, 2000 წლის შემოდგომასვე, ახალი სეზონის პირველივე თამაშებში გაიმიზეზა ტრავმა და მთელი სეზონი გამოტოვა. ზუსტად იგივე განმეორდა შარშანაც. მთლიანობაში ჰილმა ორლანდოური კარიერის პირველ ორ სეზონში 164 თამაშიდან 146 გამოტოვა.

გრანტ ჰილის დასტაქარის ნათქვამმა პირველ რიგში „ორლანდოს“ მეთაურობა გაახარა. ჰილს ამ კლუბთან შვიდწლიანი კონტრაქტი აქვს და „ორლანდოს“ სალაროდან ყოველწლიურად 13 მილიონამდე დოლარს ეზიდება, სანაცვლოდ კი ჩემპიონობას ვინ ჩივის, აქამდე ორიოდ ქულას თუ გამოსულა.



გრანტ ჰილი

# თაფლობის თვე და თიხის საუკუნე

## ეს სიმღერა ეძღვნება კოსტას მეჯვარე კორეჩას



გასტონ გაუდიო

**„მერსედესის" თასი**
შტუტგარტი. თიხნარი
საპრიზო 500 ათასი $

**პირველი წრე**
**გილერმო კანასი (3, არგენტინა) — სარგის სარგსიანი (სომხეთი) 6:3, 6:3; ჟულიენ ბუტე (საფრანგეთი) — ჟულიენ ჟარლე (საფრანგეთი) 6:3, 6:1**

შტუტგარტის თავზე მოქურუხებულმა ციკლონმა, რომელსაც მცოდნე ხალხი შინაურულად კლაუდიას უწოდებს, იმ დღესაც კაცურად დაასხა. ჭარბმა ნალექმა „მერსედესის თასის" უკვე აღრეული განრიგი კიდევ უფრო არია და თამაშის ბოლომდე მიყვანა მხოლოდ ორ წყვილს დააცადა.

ამ წყვილებზე სათქმელი კი ბევრი არც არაფერია. ამიტომაც გამოდარებას დაველოდოთ — როცა კლაუდია დასალევრელს ბოლომდე დალევრის, შტუტგარტულ თიხნარზე ჩოგანს გუსტავო კუერტენიც (2) გააქნევს და ირჟი ნოვაკიც (1).

სხვათა შორის, შარშანდელი ჩემპიონი სწორედ კუერტენი გახლავთ. თავისი მე-13 სათიხნარო ტიტული მან იქ კანასთან საფინალო შეხლაში მოიპოვა.

**ENERGIS OPEN**
ამსტერდამი. თიხნარი
საპრიზო 381 ათასი $

**პირველი წრე**
**ალბერტ კოსტა (1, ესპანეთი) — ოლეგ ოგოროდოვი (უზბეკეთი) 3:6, 6:3, 6:2; გასტონ გაუდიო (3, არგენტინა) — ნიკოლაი დავიდენკო (რუსეთი) 6:1, 1:6, 6:1; ალექს კორეჩა (4, ესპანეთი) — ალექსანდრ სიმონი (ბრაზილია) 6:2, 6:4; იონ ვან ლოტუმი (ჰოლანდია) — მარიანო საბალეტა (7, არგენტინა) 7:5, 6:4; გილერმო კორია (არგენტინა) — გალო ბლანკო (ესპანეთი) 6:4, 6:7 (8:6), 2:0 (ბლანკომ შეწყვიტა)**

როლან გაროსზე გამარჯვების შემდეგ ალბერტ კოსტას მთელი ერთი თვე ჩოგანი არ უქნევია — ახალშეუღლებულ კრისტინასთან ერთად თაფლობისთვეობდა.

ამიტომაც იყო, პირველსავე ტურნირზე, ნათაფლობისთვევს რომ ითამაშა, პირველსავევე წრეში დაჩოგნეს. ეს იქითა კვირაში, გშტაადურ თიხნარზე მოხდა, სადაც მას უსახელო ფრანგმა პოლ-ანრი მატიომ უყელა.

როგორც ჩანს, საქორწინო სარეცლის ზარხოში კოსტას ვერც გშტაადური ცივი შხაპის შემდეგ გამოუნელდა, რადგანაც დამაჯერებელი და საკადრისი მის თამაშს არც კიდევ უფრო უსახელო უზბეკ ოლეგ ოგოროდოვთან ერქვა.

ამ შეხვედრაში კოსტა მხოლოდ მეორე სეტის იმ მომენტში გამოფხიზლდა, როცა 0:2 აგებდა და თავისი მორიგი მოწოდებას წაგებას „აპირებდა".

„მაშინ ვიფიქრე, აი, ახლა კი ნაღდად ვაგებ-მეთქი — ამბობდა მერე — ამიტომაც თავს შემოვუძახე და იმ გათამაშების მერე სულ მოგებაზე, მოგებაზე, მოგებაზე ვფიქრობდი".

„ცხადია, სამკვირიანმა მცონარობამ ფორმიდან ამომაგდო, მაგრამ თუკი კიდევ ერთ მატჩს მოვიგებ, ალბათ თავდაჯერებულობაც დამიბრუნდება — მერე კი ყველაფერი ისევ თავისი კალაპოტით წავა".

მისგან განსხვავებით, თითქოს პრობლემა არ შექმნია მის მეჯვარესა და სიყრმის ძმაკაც ალექს კორეჩას, რომელიც ამსტერდამში მესამე გშტაადური ტიტულით ჩავიდა.

თუმცა ნამატჩევს კორეჩა მაინც უკმაყოფილობდა. აქაური კორტები გშტაადურთან შედარებით უფრო ნელია, რადგან გაცილებით მეტ თიხას შეიცავსო, იძახდა და, რაკილა მხოლოდ გუშინ ჩამოვედი, აქაურობასთან ხეირიანად შეგუებაც ვერ მოვასწარი, უკვე ჩოგნაობა რომ მომიხდაო, დასძენდა მერე.

გუნება მხოლოდ მაშინ გამოუკეთდა, როცა მავანი ჟურნალისტი მუსიკისადმი მის გადარეულ სიყვარულზე დაეკითხა. „მუსიკა მართლაც ძალიან, ძალიან მიყვარს — უპასუხია — როცა ოტელში ვბრუნდები, ეგრევე რამეს ვრთავ ხოლმე მაგრად მაწყნარებს და მადუნებს. თამაშის წინ კი პირიქით, მას დასაქოქად და ხასიათზე მოსასვლელად ვუსმენ. ჩემი უსაყვარლესი ანსამბლი U2-ა. როცა გშტაადის ნაფინალევს მკითხეს, რა ჩაგირთოთო, რამე მათი ბოლო კონცერტიდან-მეთქი, ვთხოვე".

**ხორვატიის ღია პირველობა**
უმაგი. თიხნარი
საპრიზო 381 ათასი $

**პირველი წრე**
**კარლოს მოია (2, ესპანეთი) — კაროლ კუჩერა (სლოვაკეთი) 6:3, 6:1; ივან ლიუბიჩიჩი (4, ხორვატია) — ვასილის მაძარაკისი (საბერძნეთი) 6:3, 6:2; ფერნანდო ვისენტე (5, ესპანეთი) — ოტა ფუკარეკი (ჩეხეთი) 6:4, 1:6, 7:5; აგუსტინ კალერი (6, არგენტინა) — ფელისიანო ლოპესი (ესპანეთი) 6:1, 6:2; მარკ ლოპესი (ესპანეთი) — ფრანკო სკილარი (არგენტინა) 7:5, 6:2; პოლ-ანრი მატიო (საფრანგეთი) — ალბერტ პორტასი (ესპანეთი) 6:3, 7:5**

ორგზის ჩემპიონმა კარლოს მოიამ ტიტულის დაცვა სლოვაკ კაროლ კუჩერაზე შთამბეჭდავი გამარჯვებით დაიწყო. ეს მათი მეექვსე პირადი შეხლა გახლდათ და სლოვაკის აქტივში მხოლოდ ერთი გამარჯვება ირიცხება.

წინა კვირას ბასტადურ თიხნარზე გალაღებულ მოიას იოლმა საპირველწრეო მოგებამ ისედაც რიგიანი გუნება კიდევ უფრო გაუხალისა და ნამატჩევს ისიც კი ათქმევინა, რომ ამჟამად კარიერის საუკეთესო ჩოგბურთს თამაშობს. „იმაზე უკეთესსაც კი, რასაც 1998-ში ვთამაშობდი, როცა როლან გაროსიც მოვიგე და რეიტინგსიაშიც მუდამ მეთაური ადგილები მეკავა".

„იმედი მაქვს, რომ ტრავმებს საბოლოოდ დავუსხლტი და ამიერიდან არავითარი სერიოზული პრობლემა აღარ შემაწუხებს — დასძინდა მერე — ახლა ფორმის პიკზე ვარ და მსურს, ბარაქიანი ჩოგნაობა აღარაფერმა წამიმურღლოს".

დანარჩენი შედეგებიდან გამოსარჩევია ადგილობრივ ქომაგთა ფალავნის, ივან ლიუბიჩიჩის და არგენტინელი აგუსტინ კალერის წარმატებები. პირველისა იმიტომ, რომ გასაგები მიზეზის გამო მის გამარჯვებას ყველაზე დიდი ყიჟინა მოჰყვება ხოლმე; მეორისა კი იმიტომ, რომ წლეულს ჩინებული სათიხნარო სეზონი აქვს და ბუენოსაირესულ ფინალში მასუსთან დამარცხების გარდა, მალიორკულ და ბასტადურ ნახევარფინალებში, შესაბამისად, გაუდიოსა და მოიასთან დამარცხებულა.

**ლევან ძელაურაძე**



ალექს კორეჩა



**გრან პრი სტოკჰოლმში. 16 ივლისი**



სვეტლანა ფეოფანოვა

REUTERS სტოკჰოლმიდან

# გაბრაზდით! ყველაზე ალალი დოპინგი



ჯონათან ედვარდსი

REUTERS სტოკჰოლმიდან

**წინა პარასკევს** რომაულ ოქროლიგურ სარბიელზე ამერიკელი უოლტერ დევისისგან ძლევა ბრიტანელმა მსოფლიოს რეკორდოსანმა სამხტომმა ჯონათან ედვარდსმა ისე იუკადრისა, რომ ამისმომდევნო შეჯიბრზევე სეზონის საუკეთესო შედეგი აჩვენა.

მის საუცხოო, 17,78-მეტრიან სამხტომს მისი უმთავრესი მოცილე, შვედი კრისტიან ოლსონი თითქმის ნახევარი მეტრით ჩამორჩა.

„ო, ეს მართლაც დიდებული რამ იყო — უხაროდა მერე ბრიტანელს — რომ დამჭირვებოდა, დღეს ალბათ 18-მეტრიან მიჯნასაც გადავცდებოდი".

ქალთა მხარეზე ყველაზე მნიშვნელოვანი მოვლენა რუსი მეჭოკის, სვეტლანა ფეოფანოვას მიერ ახალი ევრორეკორდის დამყარება გამოდგა. სულ რაღაც 10 დღის წინანდელ გერმანელ ანიკა ბეკერის სარეკორდო შედეგს (4,77) რუსმა ქალმა კიდევ ერთი სანტიმეტრი შემატა.

სხვაფრივ — კვლავაც დაუმარცხებლად იჯირითა 35 წლის მძლეოსნობის ძუ მგელმა, ამერიკელმა გეილ დივერსმა, ვინაც კვლავ ერთი მკერდით მიასწრო ფინიშთან იამაიკელ ბრიჯიტ ფოსტერსა და თვისტომ მსოფლიოს ჩემპიონ ანჯანეტ კირკლენდს.

„ეს პატარა გოგოები ქუსლებზე მასხედან — ილიმებოდა მერე დივერსი — სეზონი კარგად დაიწყო და იმედია, უკეთესად გაგრძელდება".

და კიდევ — მარიონ ჯონსის არყოფნაში ქალთა ასმეტრობა არავის დაანება უკრაინელმა მსოფლიოს ჩემპიონმა ჟანა პინტუსევიჩ-ბლოკმა, რომელმაც მხოლოდ 10,91 წამი კი აჩვენა, მაგრამ ახლახან კრეტაზე მონაგრული 10,84 წამით სეზონის საუკეთესო შედეგის მფლობელობას მაინც შეუცვლელად ინარჩუნებს.

**ლევან ძელაურაძე**

**კაცები**

| | |
|---|---|
| **100 მეტრი** | |
| 1. ტიმ მონტგომერი (აშშ) | 10,08 |
| 2. კიმ კოლინზი (სენტ კიტსი-ნევისი) | 10,08 |
| 3. ბერნარდ უილიამსი (აშშ) | 10,14 |
| **სამხტომი** | |
| 1. ჯონათან ედვარდსი (ბრიტანეთი) | 17,78 |
| 2. კრისტიან ოლსონი (შვედეთი) | 17,39 |
| 3. ალექსანდრ გლავატსკი (ბელარუსი) | 17,09 |
| **1 500 მეტრი** | |
| 1. ბერნარდ ლაგატი (კენია) | 3.31,38 |
| 2. დავიდ კრუმენაკერი (აშშ) | 3.31,93 |
| 3. უილიამ ჩირჩირი (კენია) | 3.32,50 |

**ქალები**

| | |
|---|---|
| **100 მეტრი** | |
| 1. ჟანა პინტუსევიჩ-ბლოკი (უკრაინა) | 10,91 |
| 2. დები ფერგიუსონი (ბაჰამები) | 11,10 |
| 3. კრისტის გეინსი (აშშ) | 11,15 |
| **100 მეტრი თარუქრბენი** | |
| 1. გეილ დივერსი (აშშ) | 12,42 |
| 2. ბრიჯიტ ფოსტერი (იამაიკა) | 12,49 |
| 3. ანჯანეტ კირკლენდი (აშშ) | 12,63 |
| **ჭოკით ხტომა** | |
| 1. სვეტლანა ფეოფანოვა (რუსეთი) ევროპის რეკორდი | 4,78 |
| 2. მონიკა პირეკი (პოლონეთი) | 4,52 |
| 3. ელენა ბელიაკოვა (რუსეთი) | 4,42 |

*როგორც ჩანს, წლეულს თავისუფალ აგენტთა ბაზარი დიდხანს არ გასტანს და მოულოდნელობებისაც რა მოგახსენოთ... მისი გახსნიდან სულ ორიოდე კვირა გავიდა და თითქმის ყველა ვარსკვლავის ბედი უკვე გაირკვა.*

# აუ, რა სიძვირეა!

## ჰოლიკმა ბაზარი აურია: 45 მილიონი რა ამბავია!

**მნიშვნელოვანია** ბილ გერინსა და დალასს შორის შემდგარი გარიგება. ლიგის ერთ-ერთმა ყველაზე მდიდარმა გუნდმა 45 მილიონი დოლარი არ დაიშურა და ფორვარდი 5 წლით დაისაკუთრა. აქედან გერინი 4,5 მილიონ დოლარს პირველ სეზონში მიიღებს, 2003 წლიდან კი წელიწადში 10 მილიონი დოლარი იქნება მისი ჯამაგირი. ამრიგად, გერინი ელიტარული მოთამაშე გახდება, რაც დაიმსახურა კიდეც. 31 წლის ბილი იმ იშვიათი ჰოკეისტების რიცხვს ეკუთვნის, რომლებიც წლიდან წლამდე, სეზონიდან სეზონამდე უმატებენ შედეგიანობას. გასულ ჩემპიონატში 41 გოლით პირადი რეკორდი დაამყარა. აღსანიშნავია, რომ აქამდე გერინი ღარიბი თუ ძუნწი გენერალური მენეჯერების ხელში იყო და მისი მაქსიმალური ხელფასი 5 მილიონ დოლარს შეადგენდა.

სამი ვარსკვლავი ძველ კლუბში დარჩა. აქედან ორი, სანხოსელი ტეემუ სელიანე და რეინჯერსის მეკარე მაიკ რიხტერი, გაცილებით ნაკლებ ხელფასს დასჯერდა. ფინელი 9,5 მილიონის ნაცვლად 6,5 მილიონს მიიღებს, ხოლო რიხტერს წელიწადში 4,2 მილიონი ექნება. სამაგიეროდ, კრის ჩელიოსი დარჩა კმაყოფილი. მართალია, 40 წლის მცველმა წლეულს ფანტასტიკურად ითამაშა დეტროიტში, მაგრამ საკითხავია, შეძლებს თუ არა ამას მომდევნო ორ სეზონში, თუმცა ამ ხნის განმავლობაში 12 მილიონ დოლარს აუცილებლად მიიღებს.

რაკი სავსე გარიგებაზე ჩამოვარდა სიტყვა, რეინჯერსის შენაძენზეც ვთქვათ, რომელზეც ადრეც გაუწყეთ. ნამდვილი შოკი გამოიწვია ბობი ჰოლიკთან გაფორმებულმა კონტრაქტმა. ჰოლიკი ძლიერი მოთამაშეა და მუდამ მებრძოლი სულისკვეთებით გამოირჩეოდა, რაც ნიუ ჯერსშიც არაერთხელ დაამტკიცა, მაგრამ ძალისმიერი ფორვარდის, 30 გოლიც რომ არასდროს გაუტანია სეზონში, ჯო საკიკისა თუ იარომირ იაგრის დონეზე აყვანა მართლაც სენსაციური ამბავია. შეგახსენებთ, რომ ჰოლიკმა ზუსტად ისეთივე კონტრაქტი გააფორმა, როგორიც ბილ გერინმა — 5 წელი და 45 მილიონი! არადა, შარშან ნიუ ჯერსის გენერალურ მენეჯერ ლუ ლამორელოს ძლივს გამოჰგლიჯა 3,5 მილიონი და ამისთვის საარბიტრაჟო გარჩევაც კი დასჭირდა.

დიდი აყალმაყალი ატყდა ამის გამო ლიგაში. რეინჯერსმა უკვე შეგვაჩვია იმას, რომ ფული არ ენანება, მაგრამ ჰოლიკის კონტრაქტი მაინც უპრეცედენტო რამაა და არაა გამორიცხული, ამან ლიგის ელიტის ხელფასების მკვეთრი ზრდა გამოიწვიოს, რაც კლუბების მესვეურთ ხელს არ აძლევთ. ბოლო წლებში მაქსიმალური ჯამაგირი სტაბილურად 10-10,5 მილიონის ზღვარზე მერყეობდა.

ბოლოს კი, ორი ამბავი, სულ ახლახან რომ მოხდა. როგორც იქნა, ფინიქსმაც შეიძინა ერთი ვარსკვლავი. შარშანდელი რეორგანიზაციის ხარჯზე დაზოგილი მილიონები „კოიოტეებმა" ტონი ამონტეს შეალიეს. 4 წლის განმავლობაში ფორვარდი 24 მილიონს მიიღებს და, ვფიქრობთ, ეს ნაბიჯი გაამართლებს. გარდა იმისა, რომ ამონტე მშვენიერი მეგოლეა, იღბლიანი კაციც გახლავთ. ბოლო 5 სეზონში მას ერთი შეხვედრაც არ გამოუტოვებია და 410 თანმიმდევრული მატჩით ლიგის ამჟამინდელი რეკორდსმენია.

მეორე გაცვლაში თავისუფალი აგენტები არ ურევიან. ანაჰაიმსა და ნიუ ჯერსის შორის განხორციელებულ გარიგებაში 7 ჰოკეისტი მონაწილეობდა, მათ შორის მცველი ოლეგ ტვერდოვსკი და ფორვარდი პიტერ სიკორა. პირველი კალიფორნიიდან ნიუ იორკის მეგაპოლისში გადაბარგდა, ხოლო მეორე, რომელიც ნიუ ჯერსის პირველ სამეულში ასპარეზობდა, საპირისპირო მიმართულებით გაემგზავრა.

**სამველ ღარიბიანი**



ბობი ჰოლიკი




ბილ გერინი (№ 13)




კრის ჩელიოსი (მარცხნივ) დეტროიტული ტრიუმფისას



# ირლანდია სასტუმროს ირჩევს, საქართველო — კალენდარს

**ირლანდიის** რაგბის კავშირის დირექტორი მარტინ მერფი და ნაკრების მენეჯერი ჯოზეფ მაკდონაჰი კრასნოიარსკში ჩავიდნენ. სტუმრები მასპინძლებთან 2003 წლის მსოფლიოს თასის შესარჩევი ტურნირის 21 სექტემბერს გასამართ რუსეთ — ირლანდიის მატჩის საორგანიზაციო დეტალებს შეათანხმებენ.

ბრიტანელებმა მატჩის ადგილი, კრასნოიარსკის „დინამოს" სტადიონი მოინახულეს, მერე სასტუმროები დაათვალიერეს და ამათგან იმ ერთს შეარჩევენ, სადაც ირლანდიის ნაკრები იცხოვრებს. დღეს მერფი და მაკდონაჰი რუსეთის ჩემპიონატის მატჩს, „კრასნი იარი" — „ენისეი სიბტიაჟმაშს" დაესწრებიან და შემდეგ პრესკონფერენციას გამართავენ.

2003 წლის მსოფლიოს თასის შესარჩევი ტურნირის სამგუნდა ჯგუფში რუსეთი და ირლანდია საქართველოს მეტოქეები არიან. დადგენილი განრიგის მიხედვით, ბორჯღალოსნები ირლანდიას 28 სექტემბერს დუბლინში, ხოლო რუსეთს 5 ოქტომბერს თბილისში ეთამაშებიან. მატჩებს შორის ჩვენებს ერთკვირიანი დასვენება გამოსდით, ხოლო რუსეთს ორკვირიანი. არადა, ევროპის ერთა თასზე საქართველომ რუსეთზე უკეთესი ადგილი დაიკავა და პრივილეგიებითაც მას უნდა ესარგებლა. IRB-ს (რაგბის საერთაშორისო საბჭო) კი ამისთვის ყურადღება არ მიუქცევია, კალენდარი ისე დაადგინა.

საქართველოს რაგბის კავშირი ახლა ცდილობს, IRB-ისვე მინიჭებული უფლებები გამოიყენოს და მატჩების განრიგი სათავისოდ შეცვალოს. როგორც აღმოსავლეთ ევროპაში რაგბის განვითარების IRB-ის ოფიცერმა და ბორჯღალოსანთა კურატორმა გია ჭუმბურიძემ გვითხრა, IRB-ში უკვე გაგზავნილია ფაქსი, რომ ირლანდიასთან მატჩი ჩვენებმა 7 სექტემბერს, ან რუსეთთან თამაშის მერე გამართონ. მსოფლიო რაგბის მთავარი ოფისიდან კი ჯერ არც ჰო ისმის და არც არა, თუმცა, ბუნებრივია, ყველაფერი შემოდგომამდე გაირკვევა.

**ბაჩო სვანიძე**



ევროპის ჩემპიონატი. პერმი 13-21 ივლისი

# დაგვრჩა მრთი — კუპატაძე

**გუშინ** ქართველ კოტე კუპატაძეს (57 კგ) ევროპის ჩემპიონატის მეოთხედფინალში, ინგლისელი დევიდ მიუჰოლანდი მე-3 რაუნდში ნოკაუტით შემოელახა. კოტე ნახევარფინალში გავიდა, სადაც მისი მეტოქე რუსი მსოფლიოს ჩემპიონი რაიმკულ მალაკბეკოვი იქნება. მათი ბრძოლა ხვალ გაიმართება.

სამწუხაროდ, კუპატაძე ერთადერთი ქართველია, რომელიც ტურნირს შემორჩა. გუშინვე — პაატა ვარდუაშვილმა (63,5 კგ) და გაგა ბოლქვაძემ (მძიმე) თავიანთი ბრძოლები დათმეს. ვარდუაშვილმა რუს დიმიტრი პავლიუჩენკოვთან 16:29 წააგო, ხოლო ბოლქვაძისა და იტალიელი რობერტო კამარელის ბრძოლა 5:19 დასრულდა. ამ შეხვედრების მერე პერმში დავუკავშირდით საქართველოს ნაკრების მთავარი მწვრთნელ თენგიზ მესხაძეს...

— ჩვენი ბიჭების უმეტესობა ამ რანგის ტურნირის დებიუტანტი იყო, ასე რომ, საყვედურს ნაკლებად იმსახურებენ. ჩვენი შვიდი მოკრივის მეოთხედფინალში გასვლა ბევრს არ ესიამოვნა. საკმარისია რუსი, უკრაინელი ანაც აზერბაიჯანელი მეტოქე შეგვხდეს, რომ მსაჯების სიმპათიები მათკენ იხრება. კუპატაძის იმედი კი მაქვს, მაგრამ ნახევარფინალში საკმაოდ ძლიერი მეტოქე ეყოლება, თანაც რუსი. ვნახოთ, რა იქნება, კოტე ცუდად არაა მომზადებული — გვითხრა მესხაძემ.

**ბაჩო სვანიძე**

**აბიტურიენტთათვის**

საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის აკადემიაში სწავლისას საშუალება გეძლევათ დაეუფლოთ პარალელურ სპეციალობას

**სპორტულ ჟურნალისტიკას**

გთავაზობთ განახლებულ სასწავლო პროგრამას, რომელსაც საფუძვლად დაედო სპორტული ჟურნალისტიკის საერთაშორისო ინსტიტუტის რეკომენდაციები და სხვა ავტორიტეტული უმაღლესი სასწავლებლების გამოცდილება

გააკეთეთ სწორი არჩევანი, ფეხი შემოდგით სპორტული ჟურნალისტიკის დიდ და საინტერესო სამყაროში, აღიჭურვეთ მრავალმხრივი ცოდნით, მოიპოვეთ პოპულარობა, ავტორიტეტი, გავლენა

დამატებითი ინფორმაციისთვის დაგვიკავშირდით:
99 08 22, 99 94 09, 8 99 90 26 32

ეროვნული ბიბლიოთეკა



REUTERS

# ისევ ეს?!

ა, პედლოვანი სამყაროს ერთ-ერთი უმთავრესი კითხვა — მოიგებს ლენს არმსტრონგი ტურ დე ფრანსს ზედიზედ მეოთხედ? ამერიკელი საამისოდ კალორიებს წვავს და აგერ, როგორ ქარისებრ მიაქროლებს თავის ორბორბალა რაშს ინდივიდუალური ეტაპის ბოლო წერტილისკენ. მიაქროლებს და განზე კი არ იხედება, ალბათ ვერც შენიშნა მორიგ მოსახვევთან ჩამომდგარი ჩვეულებრივზე სხვანაირი ველოსიპედი, რომელსაც დრომ და ჟანგმა იერი შეულანძეს, თუმც უჩვეულო ფორმა კი ვერ წაართვეს. ამ ორკაცა ველოს პატრონს კი არ გამორჩა არმსტრონგი. ვინძლო, მისი ქომაგიც იყოს და თავისი ველოთი არა და, გულით მიაცილებდეს ფინიშამდე.

და ისევ ტური, თავისი სამგზის ჩემპიონი არმსტრონგით და აქსესუარებით. ლენსი თვითმფრინავში პილოტის სავარძელში გამოჭიმულა და ფოტოკადრს ეზომება. ქვედა ფოტოზეც იგივე არმსტრონგი აეროპორტში პოსტალელი მეგუნდეებით შემოგარსული ელოდება რეისს, რომელიც ჩრდილო საფრანგეთიდან სამხრეთში გადააფრენს. ტურის შემდგომი გზა ხომ პირინეის წარმტაც ფერდობებს აუყ-ჩაუყვება.



REUTERS



REUTERS



REUTERS ამმანიდან

# დიდი ხანია, ჰარამხანიდან გამოხვედით?!

„ტანს გეტმასნება სველი ალერდი, ცისფერი კაბა გიჩენს თეძოებ და აზიდული, მაღალი მკერდით შენ მიაპობდი მწვანე მდელოებს".

ეს ლექსი ამ გოგოებზე არ არის. ეგვიპტელ სტუდენტებს იორდანელი სტუდენტი მიუმწყვდევიათ, მაისურაზე ქაჩავენ, წიხლს უწევენ და ბურთისართმევას უპირებენ. იორდანიული უნივერსიადის პროგრამაში ქალთა ფეხბურთიც შედის.



REUTERS ნიუ იორკიდან

# ბურთით გასწორდეს ყოველი

ასელინო პოპო ფრეიტასი, ვინაც ვბა-ს ვერსიით ქვესაშუალო წონაში მსოფლიოს ჩემპიონია, ბურთს მუშტს ულერებს, რითაც მეტოქეებს აფრთხილებს, თქვენც ასე გიზამთო. უახლოესი მეტოქე კი ამერიკელი დანიელ ატაა, ჩხუბი 3 აგვისტოს ფინიქსში გაიმართება. დაკვირვებული თვალი შეამჩნევს, რომ ჩემპიონს ბრაზილიის ნაკრების მაისურა აცვია, ჩვენ კი დაგძენთ, რომ ფოტო ნიუ იორკის რესტორან „პატარა ბრაზილიაშია" გადაღებული, სადაც მან პრესკონფერენცია იწვია. ერთი ეგაა, ფრეიტასი ბრაზილიური ფეხბურთის ოდენ ქომაგია, თავად კი სალვადორელი გახლავთ.

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ პოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
მთავარი რედაქტორის მოადგილე სოსო კოტორეიშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია:
რედაქტორი გიორგი დარჯანია
გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, სოლომონ გულისაშვილი, გიორგი ვაშაკიძე, ვაკა ხუციშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ლევან კელაურაძე, ირაკლი პერტაია, ბაჩო სვანიძე, ირაკლი ფირაშვილი
კორესპონდენტი ქუთაისში იუზა კაციტაძე
კორესპონდენტი გერმანიაში ვანო ოქროპირიძე
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბესელია, დავით ბიბილაშვილი, ელენე გელუტაშვილი, თამაზ გოგებაშვილი, ირინა გოგოლაშვილი, სვეტა დევაძე, ფატი დვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, მარიამ ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, ნინო ყუფუნია, მალხაზ ჭუმბურიძე
გამომშვები ზურაბ ინაშვილი

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge